დ. ასათიანი

# მეხსიერების პირველი ფაზის შესახებ

თბილისი 1939 წ.

E.-3464
1948 წ.

# მეხსიერების პირველი ფაზის შესახებ.

მეხსიერების ფუნქცია სხვადასხვა მიმართულების მუშაობაში პოულობს თავის გამოხატულებას.

ბლონსკი ამ მიმართულებათა გასათვალისწინებლად იძულებული ხდება სიტყვის ძირს მიმართოს და ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე / Gedächtnis - სიტყვიდან das Denken / მეხსიერების მუშაობის არსებითი სახეები უჩვენოს.

ამ ყველაზე არსებითი სახეების აღნუსხვას რომ გვერდი ავუაროთ, ის მაინც ცხადია, რომ რა მიმართულებითაც არ ხდებოდეს მეხსიერების გამოვლინება, [illegible]. ყველგან ერთი ფუძე ჩანს.

თუ მეხსიერების პირველ ფაზად ვიგულისხმებთ დროის გარკვეულ მონაკვეთს რაიმე შთაბეჭდილების შემდეგ რომ გაიშლის უშუალოდ, მაშინ ჩვენი თემა გარკვეული შინაარსის სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე: მაშინ მისი შინაარსი იქნება მეხსიერების მუშაობის პროცესი ამ მონაკვეთში დროისა.

ნამდვილად ჩვენს მიზანს ეს არ შეადგენს. ჩვენს გეგმაში არ შედის მეხსიერების შესწავლა ყველა მიმართულებით.

მეხსიერების ასეთი კომპლექსურ შესწავლა მოუხერხებელია. ჩვენ გვინდა მეხსიერების მხოლოდ ერთ მხარეს შევეხოთ: სახელდობრ დავიწყების პროცესს.

-------------------------

დავიწყების პროცესი რეპროდუქციის პროცესის შებრუნებულ მხარეს წარმოადგენს. ცხადია იგი მეხსიერების გამოვლენის ყველა ფორმასთანაა დაკავშირებული.

მაშასადამე, მისი შესწავლა მეხსიერების ყველა ფორმებს ეხება.

ამდენად სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ჩვენი თემა ზემოხსენებულ სათაურშიც გამოიხატოს.

## საკვლევი საკითხის შესახებ.

მაგრამ რადგან დავიწყების პროცესიც რთული შედგენილობისაა და ასე ზოგადად აღებული, ძნელად გამოსარკვევი, ამიტომ საჭიროა ისიც შემოვფარგლოთ.

ჩვენი პრობლემის ფარგლების შემოხაზვა შემდეგ გარემოებათა ანგარიშის გაწევას მოითხოვს.

ეს არის:

1. ასოციაციონისტების როლი. დავიწყების პროცესის შესწავლის საქმეში მეხსიერების კვლევის უახლოეს ვთარებასთან დაკავშირებით.

---------------------------

2. ექსპერიმენტული ხასიათის ზოგიერთი ცნობები მეხსიერების ე.წ. პარადოქსალური გამოვლინების შესახებ.

3. სკოლის წინარე ჰასაკის დაწესებულებათა მუშაკების ზოგიერთი დაკვირვებები მეხსიერების იშვიათი სახეების შესახებ.

ასოციაციონისტების მიერ პირველად დადგენილი კანონზომიერება დავიწყების მიმდინარეობის შესახებ ებინგჰაუსის მრუდეშია გამოხატული. ეს მრუდე /იხ. აქვე/ ორს ფაზას ~~გამოხატავს~~ შეიცავს

პირველ ფაზაში დავიწყების ტემპი სწრაფია და ერთბაში, მეორეში - ნელი და თითქმის თანაზომიერი.

მეხსიერების კვლევის უახლოესი შედეგების მიხედვით, არა მარტო ასოციაციონისტური ახსნა შეიქნა მიუღებელი ე.წ. განახლების პროცესებისა, არამედ ეს დავიწყების მრუდეც.

განსაკუთრებულს გულისყურს დავიწყების პირველი ფაზა იპყრობს.

ირკვევა /ბეშის და ვიტლის ცდებით/, რომ აზრიანი მასალის დავიწყების მიმდინარეობა პრინციპიალურად

---

დავიწყების მრუდე /ებინგჰაუსით/



სხვანაირს სურათს შლის ჩვენს წინაშე.

ვინცკაუსის მიხედვით დრო და დავიწყების მდინარე-ბა ფუნქციონალურს ურთიერთობაში იმყოფებიან.

ეს არაა სწორი.

როგორც ჩანს, ასეთს როლს დრო კი არა, აზრიანობა თამაშობს დავიწყების პროცესში.

ოღონდ შებრუნებული სახით: რამდენად მეტია შინაარსეული მომენტი მნემურს მასალაში, იმდენად ნელი უნდა იყოს დავიწყების ტემპი პირველს ფაზაში მისი მსვლელობისა.

რამდენადაც საკითხი საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, და დავიწყების დასაწყისი ფაზის შესახებ აზრიანი კონტექსტის პირობებში [illegible] სხვადასხვაობა სუფევს, ვინცკაუსის მიერ ნაჩვენებ დროის მონაკვეთში დავიწყების პროცესის ზუსტი შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ვინცკაუსის ხანაში ზოგადი ფსიქოლოგიის საკითხების კვლევა ზოგადი ფსიქოლოგიის ფარგლებშივე მიმდინარეობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ფსიქიური ფუნქციების შესწავლაში ონტოგენეტური მონაცემების გამოყენებას იშვიათად ჰქონდა ადგილი.

---

რამდენადაც ჩვენი დროის დამახასიათებელი სწორედ ამ მიმართულებით მიღებულ მასალებს დიდი ყურადღებით გამოყენებაა, არაა გასაკვირველი, თუ მეხსიერების სხვადასხვა ფუნქციის შესწავლას ონტოგენეტური ასპექტით ფართო გასაქანი მიეცა.

ამ ხაზით მიღწეულ შედეგებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე.წ. პარადოქსალური მეხსიერების ფენომენები.

ტრადიციულად განმტკიცებული შეხედულების თანახმად მეხსიერება საკუთარ ჩარჩოებს ვერ გადასცილდება.

მის საკუთარ ჩარჩოებათ, პირობით რა თქმა უნდა, იმ შთაბეჭდილების შინაარსი უნდა ჩაითვალოს, რომელიც მოცემული სიტუაციის ზეგავლენით, ცნობიერებაში შემოდის.

მეხსიერების ცნებაში იმთავითვე, როგორც ზევით აღინიშნა, ამ შემოსულ შინაარსისადმი სპეციფიური დამოკიდებულება იგულისხმება.

ეს სპეციფიური დამოკიდებულება ერთი მხრივ მის შემონახვაში ვლინდება, ხოლო მეორე მხრივ დავიწყების იმთავითვე განუყრელ თანხლებაში.

---

კიდევაც რომ ვიგულისხმოთ განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებშიდაც რაღაც ძალის გამო დავიწყების მონაწილეობა გამოირიცხა როგორღაც, მაინც უნდა აღვიაროთ:

მეხსიერებას შეუძლია ობიექტური შინაარსი შედარებით უცვლელად შეინახოს, მაგრამ რომ მან ოდესმე ამ ობიექტის მომენტში ასახულ შინაარსში რაიმე ნამატი შეიტანოს, რომელიც რეალურად შეეფერება ობიექტის მომენტში ზემომოქმედ სიტუაციის რომელიმე შემთხვევით გამოტოვებულ ელემენტს, ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება მეხსიერების ცნების განმტკიცებულ შინაარსს.

მიუხედავად ამისა ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი სწორედ ასეთ შემთხვევებს აწყდება მეხსიერების კვლევის დროს ყველა ჰასაკებში. შემთხვევებს, რომლებიც მაშასადამე სრულიად ეწინააღმდეგება მეხსიერების ჩვეულებრივ გაგებას.

რამდენადაც განმტკიცებული შეხედულების ასპექტში ასეთი შემთხვევები აბსოლუტურად გაუგებრად გვეჩვენება /რისთვისაც მას "პარადოქსალური მოგონების" სახელწოდებით აღნიშნავენ/,

იმდენად ასეთი შემოხსენებულ ფაზრთა კონტექსტში ჩვე-ნი პრობლემისადმი კვლევითი განწყობის უძლიერეს სტიმულად შეიძლება ჩაითვალოს.

სწორედ ამავე აზრით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგრეთვე ზოგიერთ მოვლენებს სკოლამდელი ჰასაკის ბავშვთა მეხსიერების გამოვლინებებიდან.

დიდი ხანია უკვე, რაც სკოლამდელ ჰასაკის ბავშვთა შორის შემჩნეულია შემდეგი გარემოება: ცნობილია რომ სკოლამდელ ჰასაკის დაწესებულებებ-ში ე.წ. თხრობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ბავშვების მეცადინეობა ამ მხრივ მთლიანად აუდიტური მასალით განისაზღვრება. რამდენადაც მათ კითხვა ჯერ კიდევ არ იციან, ვიზუალური სა-ხით მოსმენილის ხელახალი აღქმა მათთვის სრუ-ლიად ხელმიუწვდომელია.

ასე რომ ბავშვები მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ ნაამბობით იკვებებიან.

რადგან მოსმენილის სიტყვიერ განმეორებას ხშირად თვით ბავშვებს ავალებენ, ამიტომ ბავშვთა მეხსიერების თავისებურებანი ადვილად იჩენენ თავს.

---

ასეთ მოსმენილ მოთხრობათა რეპროდუქცია არა მარტო იმავე სეანსებში ხდება, არამედ ხშირად განმეორებით, ერთი, ან ორი დღის შემდეგ.

მასიური დაკვირვების შედეგს წარმოადგენს იმის კონსტატაცია, რომ ბავშვები მეორე რეპროდუქციის დროს მოთხრობის გადმოცემას მეტი სისწორით ასრულებენ, ვიდრე პირველი რეპროდუქციის დროს ე.ი. უშუალოდ მოთხრობის მოსმენის შემდეგ.

ამ რიგათ ჩვენს წინაშე შემდეგი ფრიად საინტერესო სურათი იშლება:

ერთი მხრივ ზემოხსენებული მრუდე დავიწყებისა ებინგჰაუსის მიერ დადასტურებული.

იგი, როგორც უკვე ითქვა, დავიწყების მიმდინარეობის აბსოლუტურ სურათს ვერ იძლევა, რა თქმა უნდა, რამდენადაც ადამიანის მეხსიერების მუშაობა, თავისი სპეციფიკით, აზრიან სიტუაციაში ვლინდება.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც ნაწილობრივ მაინც, ადამიანის მეხსიერებასაც უხდება ხშირად მექანიკურ მასალას გაუწიოს ანგარიში, რამდენადაც ამ სფეროშიდაც უხდება მას მუშაობა, უნდა ითქვას რომ დადგენილი კანონზომიერება ჯერ კიდევ ძალაში რჩება.

მეორე მხრივ უკვე საკმაო რაოდენობის ექსპერიმენტული მასალა მოიპოვება აზრიანი მასალის ფარგლებში მომუშავე მეხსიერების პირველი ფაზების შესახებ. აქ ჩანს დავიწყება უფრო სხვა ტემპით

მიმდინარეობს.

ორივეს საწინააღმდეგოთ, დაბალი ჰასაკის ბავშვთა ცნობიერებაში დავიწყებას კი არა, სწორედ რომ აღმავლობის პროცესი იშლება იმავე დროითი მონაკვეთში, რომელიც ჯერ კიდევ ებინგჰაუსის მიერ იქნა დავიწყების პირველ ფაზად მიჩნეული.

ფსიქოლოგიურს ლიტერატურაში ხშირადაა აღნიშნული ის გარემოება, რომ ადამიანისმეხსიერების სპეციფიკა [illegible] იმაშია, რომ მნემური მასალა აზრიანია.

სახელდახელო მაგალითებად მოჰყავთ ის გარემოება, რომ თვით უაზრო მასალის დამახსოვრების დროსაც კი ჩანს ერთგვარი ცდა გააზრებისა, მექანიკური მასალის ფარგლებში რაიმე იდეური ძაფების გამოძებნისა. ამ აზრის საგანგებო გაღრმავებას ე.წ. ინსტრუმენტალური თეორია წარმოადგენს მეხსიერების შესახებ.

ცხადია ადამიანის მეხსიერების თავისებურება ამაშია, მაგრამ რამდენადაც მის მოწიფებას წინ სწორედ ე.წ. მექანიკური მეხსიერების გამოვლინებები უსწრებს და როგორც ზემო მოყვანილი ცდებიც ნათელჰყოფენ, დავიწყების პროცესი მათ სიტუაციაში სრულიად თავისებურად მიმდინარეობს, იმდენად დავიწყების პროცესის ნამდვილი ბუნების დემონსტრაცია

---

ისეთ ცდებშია მოსალოდნელი, რომლებიც როგორღაც ორივეს აერთიანებს /თუმცა ეს ერთი შეხედვით ლოგიკური შეცდომის შთაბეჭდილებას სტოვებს/.

ბლონსკი ოთხ საფეხურს, ან უკეთ ოთხ სახეს ჩამოსთვლის მეხსიერების მუშაობაში. ხატოვანი მეხსიერება, ჩვევა-მეხსიერება, [illegible]-მეხსიერება / рассказ-память / და ემოციონალური მეხსიერება.

მისი აზრით ჩვენი მეხსიერება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იღებს ამ სახეებს. იგი თითქოს სხვადასხვა ხანში სხვადასხვა სამოსელში გვევლინება. ბლონსკის ეს შეხედულება არავის მიაჩნია გაზიარების ღირსად. მიუხედავად ამისა ისტორიულად ცნობილი დასაფეხურება მეხსიერების ონტოგენეტური განვითარებისა, მექანიკურსა და ლოგიკურ სტადიებათ, სინამდვილეს წარმოადგენს.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ არის განსაზღვრული საფეხური, რომელზედაც მექანიკური ხასიათი აქვს როგორც დამახსოვრების, ისე ....eo ipso......, დავიწყების მიმდინარეობას. ისინი მექანიკური ხასიათის მექანიზმზე არიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამყარებული.

---

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ობიექტივაციის პროცესი იწყება ონტოგენეტური განვითარების ხაზზე, მხოლოდ მაშინ იწყება ე.წ. გააზრების ფუნქციის მომწიფება, რომელიც მეხსიერების მუშაობაშიც პირველად იჭრება და თანდათან შინაგან რეკონსტრუქციას ახდენს მასში.

მეხსიერების არსის გათვალისწინება გან-საკუთრებით მის გენეზისის ამ კომპლექსურ ვითარებაში უნდა მოხდეს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფაზა მეხსიე-რების ევოლუციის გასწვრივ, შინაგანი კოლიზი-ების შემცველია. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჩვენს მიერ ზემო ჩამოთვლილი ფაქტები მეხსიერე-ბის პარადოქსალური გამოვლინებების შესახებ, ამ ფაზაში მოყოლილ განსხვავებულ ტენდენციათა პირველადი შეხვედრის, მკაფიო გამოვლინებაა.

ასე თუ ისე, აქ მოყვანილ მოსაზრებათა გათვალისწინება სავსებით საკმარისია, რომ ჩვენს მიერ ზემო მოყვანილ პრობლემის შემოფარგვლა, ზუსტ ჩარჩოებში მოექცეს.

მეთოდის შესახებ.

ცნობილია მეთოდი, რომლითაც ემინგჰაუსი სარგებლობდა ე.წ. „Ersparnismethode".

---

ებინგჰაუსის მეთოდი ჩვენთვის გამოუსადეგარია, ცხადია. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს მეთოდი ე.წ. უაზრო მარცვლების პირობებში იყო გამოყენებული. არამედ იმიტომაც, რომ ჩვენს განზრახვას მასალის დასწავლა არ წარმოადგენს. ჩვენთვის იმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომ დასამახსოვრებელი მასალა აღქმის მომენტში აზრიანი შინაარსის სახით წარმოსდგეს ცნობიერებაში.

ასე რომ ებინგჰაუსის მეთოდით გათვალისწინებული არც მასალაა ჩვენთვის გამოსადეგი, არც ამ მასალის მიწოდების სახე.

ებინგჰაუსს შემდეგ დავიწყების საკითხზე მრავალს მკვლევარს უმუშავნია.

მათ შორის ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ბინეს ცდებია.

იგი მოთხრობას აძლევდა მოწაფეებს და შემდეგ ამ მოთხრობის რეპროდუქციას მოითხოვდა მათგან.

როგორც ჩანს, მისი აზრით ამ მოთხრობას შემდეგი პირობა უნდა დაეკმაყოფილებია: შინაარსებრივი სიმკვეთრე, ე.ი. რომ მოთხრობის შინაარსი თავიდან ბოლომდე მისაწვდომი ყოფილიყო მოწაფისათვის.

---------------------------

იკი არ ყოფილიყო მისთვის ცნობილი, არც მეტად ტრაფარეტული. შერჩეული ყოფილიყო ძირითადი აზრების შემცველ წინადადებებიდან და შედარებით მეტრე ხანისხოვან აზრების შემცველ წინადადებებისაგან.

მოთხრობა ეძლეოდა აუდიტორიას, ხოლო მოსმენის შემდეგ გადმოცემა ზეპირი მეტყველების საშუალებით მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შემუშავებული ხერხი რეპროდუქტულ შინაარსის აღრიცხვასა. წესი, რომლის მიხედვითაც მან მეხსიერების მრუდე ააგო, რადიკალურად განსხვავდება ასოციაციონისტური წესისაგან.

გამოანგარიშება აზრითი ელემენტებისა მოცემული შინაარსში მოთავსებულ სიტყვების ყველილი განმეორების კვალობაზე კი არ ხდება, არამედ თვით აზრითი ელემენტების ზუსტი განმარტებების მიხედვით.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სწორედ ამ მეთოდს ვიყენებთ წინამდებარე საკითხის შესწავლისათვის.

ზოგიერთი ცვლილებები, რომლებიც ჩვენ შევიტანეთ, განისაზღვრება განსხვავებული მიზანდასახულებით. ჩვენი განსხვავება მიზანდასახულების მიხე-

------------------------------

ვით იმაშია, რომ ჩვენ ორს რეპროდუქციათა შორის მომხდარი ცვლილებები გვაინტერესებს.

მაგრამ ეს იმდენ სხვაობას არ ქმნის, როგორც დავინახავთ, რომ მაგაზე შეჩერება საგანგებოთ ღირდეს.

საბოლოო ანგარიშში ჩვენი მეთოდი შემდეგში მდგომარეობდა:

შედგენილია მოთხრობა, რომელიც გარკვეულ ამბავს გამოხატავს. მოთხრობა ორგვარია: ერთი უფრო დიდი მოცულობის, მეორე ნაკლები. მოთხრობის წაკითხვა ხდება ცდის პირის წინაშე. როცა კითხვა დამთავრდება, ცდის პირი შეეცდება მოსმენილი გადმოსცეს. ორი დღის შემდეგ კვლავ გამოძახება ხდება იმავე მოწაფისა და სრულიად მოულოდნელად ორი დღის წინ მოსმენილი მოთხრობის რეპროდუქცია ევალება.

ცდების შედეგების აღრიცხვა ბინეს მრუდის მიხედვით ხდება. სულ ორი მრუდე გვეძლევა თვითეულ ცდის პირის შემთხვევაში.

ცდის პირებათ აყვანილია სკოლის წინარე დაწესებულების მოწაფენი, რიცხვით 19.

---

მოთხრობები, რომლებიც ცდის პირებს ეძლეოდა ასეთია:

1. "უპატრონო დედა და შვილი".

შინაარსი:

"ძველად, დიდი ხნის წინ, ერთს მიყრუებულ სოფელში სცხოვრობდა ერთი ქალი, რომელსაც ერთად-ერთი შვილი გააჩნდა. ამ ქმარი ქალს ადრე გარდაეცვალა და ქვრივს დედაკაცს მარტოხელა მუშაობით უნდა გამოეკვება ოჯახი. მან ხელობა არაფერი იცოდა და უმთავრესად მიწის დამუშავებას ეწეოდა: ხნავდა, სთესავდა, ბალ-ბოსტანს უვლიდა.

მართალია მკერავობაც შეეძლო, ცოტაოდენი, მაგრამ რადგან იმ სოფელში სხვები უფრო კარგად კერავდნენ, ამიტომ ამ საქმეში მას ხელი არ ჰქონდა.

მალე მას შვილიც წამოეზარდა.

შეიძლებოდა მარტოხელა დედისათვის ამ წამოზრდილ შვილს ერთგვარი დახმარება გაეწია, და ამით ოჯახის მძიმე ტვირთი დედისათვის შეემსუბუქებინა. მაგრამ თვითონ დედა ამის წინააღმდეგი იყო.

დედა უკრძალავდა მას.

დედას სურდა შვილისათვის განათლება მიეცა და ამი-

ცოტ სცდილობდა ბავშვი ოჯახური საქმეებით არ დაეტვირთა და ამით მისთვის დრო არ დაეკარგვინებინა.

იყო მეორე მიზეზიც იმისა, თუ რატომ უკრძალავდა დედა თავის ერთად ერთ შვილს ოჯახურ საქმეებზე ზრუნვას.

და ეს მიზეზი უფრო მეტად აიძულებდა მას შვილისათვის აეკრძალა მუშაობა: საქმე იმაშია, რომ იგი, ეს ვაჟი, ხშირად ავადმყოფობდა. ეტყობოდა, რომ ჯანმრთელობა არ ჰქონდა საღი, იგი სუსტი იყო ფიზიკურად.

ქვრივს ქალს განსაკუთრებით ის აწუხებდა, რომ ვერც გაეგო რა ავადმყოფობა ჰქონდა მის ვაჟს. მაშინ სოფელში ექიმი არ იშოვებოდა და ქალაქად წაყვანის თავი მას არ ჰქონდა.

ასე რომ, რაც უფრო იზრდებოდა ეს ვაჟი, მით უფრო მეტი დარდები აწვებოდა დედის გულს:

დიდს ადამიანს უფრო მეტი საკვები ესაჭიროება. მაშ მას კიდევ უფრო მეტი უნდა ემუშავნა.

მას უნდა ეზრუნა, რომ შვილის ავადმყოფობის მიზეზი გამოერკვია, გამოეჯანსაღებინა იგი, შემდეგ განათლება მიეცა მისთვის.

---

ამდენს მოთხოვნილებას როგორ დააკმაყოფილებდა იგი, თუ განუწყვეტელ მძიმე მუშაობას არ მოკიდებ-და ხელს.

ქვრივმა დედაკაცმასწორედ ეს გადაწყვეტილე-ბა შეიმუშავა:

ემუშავნა დღისითაც და ღამითაც:

გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა მან: [illegible] შეუდგა დაუსვენებელ მუშაობას.

მთელი სოფელი ერთხმად აღნიშნავდა მის თავდადე-ბულ მუშაობას. მაგრამ იმასაც დასძენდენ: ასეთი მუ-შაობა მალე გასტეხს წელში მაგ უბედურსაო.

მართლაც, სოფლის წინასწარმეტყველება გამართლდა: ქვრივმა ქალმა ამდენი ვეღარ აიტანა და უცებ დაეცა. [illegible] მძიმე ავად გახდა და სამუდამოდ ლოგინად ჩავარდა.

ახლა ერთს ოჯახში ორი ავადმყოფი შეიქნა და მომუშავე და მარჩენალი აღარავინ.

ბიჭი ჯერ ერთი რომ ავადმყოფობდა ხშირად და მაშასადამე მუშაობა უჭირდა, მაგრამ გარდა ამისა [illegible] ჯერ არც იმდენი ხნისა იყო, რომ ლოგინად ჩა-ვარდნილ დედის შეცვლა შესძლებოდა ოჯახურს საქმე-

ებში.

ამ რიგად ავადმყოფს ქვრივს მომვლელი არ გააჩნდა. შვილსაც ავადმყოფობა გაუძლიერდა, რადგან ხელისშემწყობი აღარავინ ჰყავდა და ისიც დედის მსგავსად ლოგინად ჩავარდა მუდმივ მწოლიარედ.

ასეთი უბედურება დაატყდა თავს ამ უწყინარს დედასა და შვილს.

ვერც დედა შველოდა შვილს, ვერც შვილი შველოდა დედას".

<u>მეორე მოთხრობა</u>

2. "მოხუცი მწყემსი ქალი".

ტყეში ერთი მოხუცი ქალი [illegible] ცხვრებს აძოვებდა. უცებ ტყიდან მხეცები გამოცვივდნენ. მოხუცი დედაკაცი მეტად დაფრთხა და გაიქცა. გაქცეული ქალი ხეს დაეჯახა და თავი იტკინა. მართალია, შინ მიასწრო, მაგრამ თავი დაზიანებული აღმოჩნდა: ხეზე ლურსმანი ყოფილიყო ჩარჭობილი, მას სისხლი მოეწამლა და ექიმებმა ვეღარ უშველეს.

---

მოხდეს შინ გარდაიქმნა.

ზემოაღნიშნულის თანახმად ეს მოთხრობები ეძლევა ცდის პირებს შერჩევით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მოთხრობა ერთსა და იმავე ცდის პირებს არ ეძლევა. არამედ ერთი-
[illegible]
ქრონიკულად ჩვენმა ძალამ ცდის პირ[illegible] [illegible]-
[illegible] მოწაფეებიდან და მეორე, მესამე კლასელის.

ცხადია ცდის პირთა შორის ყოველმხრივ ერთნაირი მდგომარეობაა: ჯგუფის მიხედვით /სკოლის წინარე ასაკის მოზრდილი ჯგუფი/, ხნოვანობის მიხედვით და სხვ.

მიზეზი იმისა, რომ ყველა ჩვენს ცდის პირს ორივე ეს მოთხრობა არ ეძლევა, თავისთავად ნათელია. საქმე იმაშია, რომ თუ იმავე ცდის პირს მეორედ მივცემდით მოთხრობას, ცხადია მასში იმის მოლოდინი გაიღვიძებდა, რომ მას აიძულებენ ორი დღის შემდეგ კვლავ სთქვას მოსმენილი მოთხრობა. მაშინ მისი ამ მოთხრობისადმი დამოკიდებულება ანალოგიური იქნებოდა აალის[1] მიერ გამოყენებულ ე.წ. მოთხრობისადმი შექმნილ დამოკიდებულების.

ე.ი. ცდის პირი უწყვეტი განზრახვის ქვეშ მოექცევა მოთხრობის შემონარჩუნების და ცხადია იმავე

---------------------

1) იხ. [illegible]

აალის ცდების შედეგების მიხედვით, სულ სხვანაირად აღადგენდა.

სწორედ ამის გამორიცხვა აუცილებელი იყო. ხოლო მიზეზი იმისა, რომ სწორედ ეს ორი მოთხრობა მიეცეს, მდგომარეობს იმაში, რომ ერთი უფრო დიდია მოცულობით და მეორე – მცირე.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ საფიქრებელია შემდეგი; ზომაზე მეტი მოცულობის მოთხრობა შეიძლება უნაყოფოდ დამთავრდეს: სკოლის წინარე ჰასაკის ბავშვი ადვილად დაჰკარგავს შიგ ორიენტაციას და ნაცვლად აზრიანი მოთხრობისა, რაც ჩვენს სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, სიტყვათა უბრალო აგრეგატი დარჩება და მაშასადამე უაზრო მარცვალთა სიტუაციას დაუახლოვდება.

არც ისეთი მოთხრობა გამოდგება, რომელიც თავის მოცულობით მეტად შემოფარგლულია და შინაარსობრივად მეტად იოლი. ამ შემთხვევაში სერიოზულ დამოდებულებას მისდამი ნიადაგი ეცლება და მაშასადამე სათანადო მიმართულებით აქტივაცია მეხსიერებისა აღარ ხდება.

იმისათვის, რომ ეს სცილა და ქარიბდა გადავლახოთ, მოცემულ პასუხთა ამ მიმართულებით შედარების

---------------------------

კრიტერიუმი უნდა გვქონდა. ეს კი გარეშე ამგვარად განაწილებულ ორსახოვან მუშაობისა შეუძლებელია.

მაშასადამე ეს ორი სახის მოთხრობა მოცულო-ბით ერთიერთისგან საკმაოდ განსხვავებული, მიღე-ბულ შედეგების ამ თვალსაზრისით გაანალიზების საორიენტაციო ერთგვარს დასაყრდენს გვასწა-ვლის.

ცდის პირი მიწოდებული მასალის ორჯერს რეპ-როდუქციას ახდენს როგორც ზემოთ ითქვა.

პირველი რეპროდუქცია მოსმენისთანავე ხდება, მეორე.- ორი დღის შემდეგ.

ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდე-ბული, თუ რამდენი სიზუსტითა და მკაცრად იქნება გაანალიზებული ამ ორს ზღუდეთა შორის მოთავსებული მეხსიერებითი ან-უკეთესი იქნება ჯერჯერობით მას ამ სახელწოდების ნაცვლად სხვა სახელწოდებამივს-ცეთ- ცნობიერების მუშაობა ჩვენი მასალის ირგვლივ.

აქ მნიშვნელობა აქვს ჯერ სრული იგივეობის დაც-ვას ცდის პირის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაში: არ ექნეს რომელიმე შემთხვევაში ზედმეტი დახმარება ან სხვა რაიმე ფაქტი მიცემული.

---

მეორე - ზუსტი კრიტერიუმის გამონახვას ორსავე სეანსში გადმონაცემ შედეგთა შედარებისათვის.

ჩვენთვის ამ შედარების ზუსტი საზომის მოპოვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ეშინგჰაუსის კლასიკური ექსპერიმენტი დავიწყე-ბის მიმდინარეობის შესახებ სწორედ იმითაა ბრწყინ-ვალე, რომ მას ეს შესადარებელი კრიტერუმი მეტად ზუსტი სახის მოეპოვება.

მართალია აზრის ელიმინაცია საექსპერიმენტო მასალიდან, შინაარსეულ მომენტებიდან სძარცვავს მას და სპეციფიურ-ადამიანური მეხსიერების შესას-წავლად ფასს უკარგავს, მაგრამ ექსპერიმენტული შედეგების შედარების თვალსაზრისით, მეტად სანი-მუშო ოპერაციას წარმოადგენს.

მართლაც შედარება აქ ადვილია და განსხვავე-ბის დამყარება პირდაპირ ერთეულთა რიცხობრივ მეტ-ნაკლებობაზე ჰკიდია.

მარცვალთა რაოდენობა პირველ შემთხვევაში პირ-დაპირ უპირისპირდება მარცვალთა რაოდენობას მეორე შემთხვევაში.

შეიძლება თუ არა აზრიანი მასალის საექსპერი-მენტოთ გამოყენების პირობებშიდაც ასეთი ზუსტი შე-

---

დარების საზომი მოინახოს?

ჩვენის აზრით ასეთ საზომს ჩვენც მოვნახავთ, თუ იმავე ბინეს მიერ შემუშავებულ თხრობის დამახსოვრების მრუდეს გამოვიყენებთ.

ბინე, როგორც ცნობილია, აზრითი ელემენტებს მიმართავს. იგი ვერბალურ სამოსელს იქეთ, ან შიგნით მოთავსებულ მნიშვნელობით ერთეულებს გამოჰყოფს ხოლმე და მათ პირველადი მოთხრობის მთელს შემადგენლობას შეუდარებს ხოლმე.

ჩვენ ამის მიხედვით ასეთი ხერხი შეგვეძლია ვიხმაროთ: პირველადი რეპროდუქციის ვერბალური სამოსელიდან შევიმუშავოთ ე.წ. მნიშვნელობითი ერთეულები /იმ სახელწოდების ქვეშ მე პირობით აღვნიშნავ სიტყვით აღნიშნულს შინაარსს/.

სწორედ ანალოგიურად მოვიქცეთ სეკუნდარული რეპროდუქციის შემთხვევაში.

ბოლოს, პრიმარული რეპროდუქციის შედეგების ბინესეული მრუდე შევადგინოთ და სეკუნდარული რეპროდუქციის ამგვარსავე მრუდეს შევადაროთ. ჩვენის აზრით მათ შორის განსხვავება მაჩვენებელი იქნება იმ პერცეპციების, რომლებსაც ჩვენს მიერ დადგინებულს დროითი ინტერვალში, ცნობიერებაში ჰქონდა ადგილი.

---

ერთი სიტყვით, ამგვარად მოპოვებული მასალის გაანა-ლიზების შედეგად, დავიწყების პირველი ფაზის შესა-ხებ ჩვენი დასკვნები შეიმუშავეთ.

## ცდების შედეგები.

ამგვარად მთელი ჩვენი ევრისტული ზემოხსენებული ორი მონაცემის ერთიერთ შედარებისაკენ უნდა იყოს მიქცეული. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენი პრობლემის გა-დასაწყვეტად ამ მიმართულებით შეგვიძლია დავაგროვოთ ფაქტები. ამ ფაქტებში წინა პლანზე მოთხრობათა რეპ-როდუქციების უშუალო შედარება უნდა დადგეს. მაგრამ კიდევ უფრო წინ თვით მათი გამოხატულება, რომელიმე გრაფიკული მონაცემის სახით.

როგორც ზევით აღვნიშნე, მათი გრაფიკული გამოხატ-ვა ე.წ. მოთხრობის დამახსოვრების მრუდის მეოხებით შეიძლება.

ამ მრუდეშიც, როგორც აღინიშნა, ორი მხარეა: მარჯ-ვენა და მარცხენა.

მარჯვენა სვეტში თვით მრუდეა ბადეში მოქცეული.

მარცხენაში მოთხრობის, ე.წ. აზრობრივ ელემენტე-

---

ბათ დაშლის შედეგი.

ამ რიგათ, პირველი რეპროდუქციის მრუდეც და მეორეც,- აქვეა მოყვანილი.


ძველად,
დიდი ხნის წინ,
ერთს
მიყრუებულს
სოფელში
სცხოვრობდა
ერთი
ქალი.
ამ ქალს
ქმარი
ადრე
გარდაცვალა
და
ქვრივს
დედაკაცს
მარჩენელა
მუშაობით
უნდა გამოეკვება
ოჯახი.
მან
ხელობა
არ იცოდა
და უმთავრესად
A–რეპროდუქცია
B–რეპროდუქცია

მიწის
დამუშავებას
ეწეოდა:
ხნავდა,
თესავდა,
ბაღ-ბოსტანს
უვლიდა.
მართალია
მკერაობაც
შეეძლო
ცოტაოდენი,
მაგრამ რადგან
იმ
სოფელში
სხვები
უფრო
კარგად
კერავდენ,
ამიტომ
ამ საქმეში
მას ხეირი
არ ქონდა.
მალე




0 1 2 3 4 5 6 7 8 9
მას
შვილიც
წამოეზარდა.
შეიძლებოდა
მარჩოხელა
დედისათვის
ამ წამოზრდილ
შვილს
ერთგვარი
დახმარება
გაეწია
და
ამით
ოჯახის
მძიმე
ტვირთვი
დედისთვის
შეემსუბუქებინა,
მაგრამ
თვითონ
დედა
ამის
წინააღმდეგი
A
B

მეორე
მიზეზი
იმისა,
თუ
რატომ
უკრძალავდა
დედა
თავის
ერთად
ერთს
შვილს
ოჯახურ
საქმეებზე
ზრუნვას.
და
ეს
მიზეზი
უფრო
მეტად
აიძულებდა
მას
შვილისთვის
აეკრძალა






0 1 2 3 4 5 6 7 8 9
მუშაობა.
საქმე
იმაშია,
რომ
იგი,
ეს
ვაჟი
ხშირად
ავადმყოფობდა.
ეტყობოდა
რომ
ჯანი
არ ქონდა
საღი.
იგი
სუსტი
იყო
ფიზიკურად.
ქვრივ
ქალს
განსაკუთრებით
ის
აწუხებდა
A
B


0 1 2 3 4 5 6 7 8 9
რომ
ვერც გაეგო
რა
ავადმყოფობა
ქონდა
მის
ვაჟ.
მაშინ
სოფელში
ექიმი
არ
იშოვებოდა
და
ქალაქად
წაყვანის თავი
მას
არ
ქონდა.
ასე რომ
რაც უფრო
იზრდებოდა
ეს
ვაჟი
A
B


0 1 2 3 4 5 6 7 8 9
მის უფრო
მეტი
დარდები
აწუხებდა
დედის
გულს.
დიდს
ადამიანს
უფრო
მეტი
საკვები
ესაჭიროება
მაშ
მას
კიდევ უფრო
უნდა
ემუშავნა.
მას
უნდა
ეზრუნა
რომ
შვილის
ავადმყოფობის
A
0 1 2 3 4 5 6 7 8 9
B


0 1 2 3 4 5 6 7 8 9
მიზეზი
გაეგო.
გამოეჯანსაღებინა
იგი.
შემდეგ
განათლება
მიეცა
მისთვის.
ამდენს
მოთხოვნილებას
როგორ
დააკმაყოფილებდა
იგი
თუ
განუწყვეტლივ
მძიმე
მუშაობას
არ
მოკიდებდა
ხელს.
ქვრივმა
დედა-კაცმაც
სწორედ
A
B


0 1 2 3 4 5 6 7 8 9
0 1 2 3 4 5 6 7 8 9
ეს
გადაწყვეტილება
შეიმუშავა:
ემუშავნა
დღისით,
ღამით.
გადაწყვეტილება
სისრულეში
მოიყვანა:
იგი
შეუდგა
დაუსვენებელ
მუშაობას.
მთელი
სოფელი
ერთხმად
აღნიშნავდა
მის
თავდადებულ
მუშაობას,
მაგრამ
იმასაც
დასძენდენ
A
B


0 1 2 3 4 5 6 7 8 9
ასეთი
მუშაობა
მალე
გასტეხს
მაგ
უბედურსაო.
მართლაც
სოფლის
წინასწარმეტყველება
გამართლდა.
ქვრივმა
ქალმა
ამდენი
ვეღარ
აიტანა
და
უცებ
დაეცა.
იგი
მძიმე
ავად
გახდა
და
A
B

სამუდამოდ
ლოგინად
ჩავარდა.
ახლა
ერთს
ოჯახში
ორი




0 1 2 3 4 5 6 7 8 9
0 1 2 3 4 5 6 7 8 9
ავადმყოფი
შეიქნა
და
მომუშავე
და
მარჩენალი
აღარავინ.
ბიჭი
ჯერ ერთი რომ
ავადმყოფობდა
ხშირად
და მაშასადამე
მუშაობა
უჭირდა,
მაგრამ
გარდა ამისა
იგი
ჯერ
არც
იმდენი
წლისა
იყო,
რომ
A
B

ლოგინად
ჩავარდნილ
დედის
შეცვლა
შესძლებოდა
ოჯახურ
საქმეებში.
ამ რიგად
ავადმყოფ
ქვრივს
მომვლელი
არ
გააჩნდა.
შვილსაც
ავადმყოფობა
გაუძლიერდა,
რადგან
ხელშემწყობი
აღარავინ
ყავდა
და
ისიც
დედის




A




B

მსგავსად
ლოგინად
ჩავარდა
მუდმივ
მწოლარედ.
ასეთი
უბედობა
დაატყდა
თავს
ამ
უწყინარ
დედაშვილს.
ვერც
დედა
შველოდა
შვილს,
ვერც
შვილი
დედას.



A



B

ეს მრუდეები საუცხოვო საბაბაობას წარმადგენს. მათ შორის მართლა თვალსაჩინო განსხვავებაა და სწორედ რომ .B.. რეპროდუქციის სასარგებლოდ.

.B.. რეპროდუქციის მრუდე გვაჩვენებს, რომ მოთხრობის მნიშვნელოვანმა ადგილებმა, რომლებიც ..A.... რეპროდუქციაში არ მოიპოვებოდენ, კვლავ იჩინეს თავი.

მაგრამ სანამ ამ [illegible] ფაქტის დეტალურ განხილვაზე გადავიდოდე, შევეხები თვითონ აღდგენის პროცესის ზოგად მსვლელობას, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ცდების ნედლი მასალის მოცემულობა იძლევა.

საქმე ისაა, რომ ამ მრუდეებში მხოლოდ ის მომენტების ასახული მოთხრობისა, რომლებიც ცდის პირთა რეპროდუქციებში, მიცემული მოთხრობის რეალურ ელემენტებს შეესაბამებოდა.

მაგრამ ეს თავისთავად უკვე გვაჩვენებს იმას, რომ რეპროდუქციული შინაარსები მარტო იმით არ განისაზღვრებოდა.

და აი, ჩვენი პირველი მიზანი ეხლა სწორედ იმის აღწერაში მდგომარეობს: რას, რა სახის მონაცემს გვაძლევს ცდის პირის რეაქცია.

-----------------------------

უკვე ეს მრუდეები, როგორც ...B... მრუდე, ისე განსაკუთრებით ...A... მრუდე, ნათლად ღაღადებს იმაზე, რომ შეუძლებელია მხოლოდ ამ მრუდეში ასახულ შინაარსებით განისაზღვრებოდეს ცდის პირის უშუალო რეაქცია ჩვენი ცდების პირობებში.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რეპროდუქციის ვერბალური შედგენილობა მკვეთრად განსხვავებულია.

არც ...B... რეპროდუქციის ვერბალური შედგენილობა და არც ...A... რეპროდუქციისა, არ წარმოადგენს, თუ გინდ მთავარს ნაწილში მაინც, დედანის განმეორებას.

განსაკუთრებით ...B... რეპროდუქციის ვერბალური აგებულებაა განსხვავებული. მრუდე მეტად თვალსაჩინოდ გვისურათხატებს იმას, რომ აზრითი ელემენტები აქ, არამც თუ ნაკლები არ არის, ვიდრე პირველში, არამედ – მეტიც.

მაგრამ რაც შეეხება ვერბალურ შედგენილობას, ეს სულ სხვანაირია. ეს ვერბალური შედგენილობა მაგალითად ...B... რეპროდუქციისა, არამც თუ დედნისგან განსხვავდება, არამედ ...A... რეპროდუქ-

---------------------------

ციის ვერბალურ შედგენილობისაგანაც.

აზრები შემონარჩუნებულია და აღდგენილი როგორც პირველი, ისე მეორე რეაქციის შედეგად.

მაგრამ მთელი თავისებურება იმაშია, რომ ეს აზრები, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარ სამოსელში როდია გვევლინებიან.

მათთვის ცდის პირს სხვა სიტყვა გამოუნახავს. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ "ბავშვები ამჟღავნებენ სინტაქსისის გამარტივების ტენდენციას და ნაკარნახევი სიტყვების ჩვეული მეტყველებიდან აღებულ სინონიმებით შეცვლას." (მინე)

ჭეშმარიტება ამ კლასიკურ წინადადებებისა ჩვენს მასალაზე მეტად თვალნათლივ ჩანს.

მაგრამ ეს ჩვენი მასალა შეიცავს მეტსაც, რაც გვსურს, საგანგებოთ ხაზგასმით აღვნიშნოთ. უახლოესი კვლევის შედეგებიდანვე ცნობილია, რომ აღდგენა, ანუ განახლება აზრიანი კავშირების მიხედვით მიიმართება კვალდაკვალ და არა სიტყვათა მექანიკური ასოციაციის მიხედვით.

გარდა ამისა ჩვენი ცდებიდან ჩანს, რომ რეპროდუქციის პროცესი არა მარტო იმ შემთხვევებში მიიმართება აზრობრივი კავშირების კვალდაკვალ, როცა კონფლიქტი შეიქმნება აზრობრივსა და

------------------------------

ასოციაციურ კავშირებს შორის / რუბინშტეინი ამას საგანგებოდ აღნიშნავს: " Там, где создается конфликт между ассоциациями по смежности и смысловыми связями, процесс воспроизведения совершается в соответствии со вторыми, а не с первыми") არამედ მაშინაც, როცა ეს კონფლიქტი არც არის. საქმე იმაშია, რომ განახლების აქტი, როგორც ასეთი, მთლიანი ბუნებისაა და როგორც ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთაც დავინახავთ, იმთავითვე გამორიცხავს კონფლიქტის შესაძლებლობას.

კონფლიქტის გამორიცხულობა შემდეგი მოსაზრებისა გამო იგულისხმება: კონფლიქტის არსებობა ან დაშვება ნიშნავს იმას, რომ განახლების პროცესი ნარევი შედგენილობისაა.

თითქოს, როცა სუბიექტი რასმე მოისმენს, ვთქვათ, ჩვენს შემთხვევაში, მოთხრობას, - იგი ალაგ აზრობრივ კავშირებს მიჰყვება, ალაგ კი, სადაც ეს აზრობრივი კავშირი ასოციაციას არ ეხება, შეიძლება ასოციაციურმა კავშირებმაც მოახერხონ შემოჭრა და ამრიგად განახლებულ მოთხრობაში ალაგ აზრთა ლოგიკურ დაკავშირებებს შევხვდებით, ალაგ ასოციაციურ კავშირთა მწკრივს.

მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ, თითქოს თვითონ <u>პროცესი განახლებისა</u>, მრავალს ერთიერთისგან

განსხვავებულ ტენდენციებზე იგება.

ასეთი წარმოდგენა განახლების პროცესის შე-სახებ, იმას გულისხმობს, რომ განახლება მთლიანი პროცესი კი არაა, არამედ ნაწილ-ნაწილობრივია.

ნამდვილად, როგორც უკვე აღინიშნა, განახლების პროცესი ერთი მთლიანი გაქანების პროცესია, და თავიდან ბოლომდე ამ მთლიანი გაქანების აქტზე სახიერდება.

სწორედ ამით აიხსნება ზემოდასახელებული ფაქტი სინტაქსისის შეცვლისა, მოთხრობის შინაარსის ჩვეული სინონიმებით შეცვლისა.

ჩვენი ცდის პირთა ჩვენებებიც სავსებით ადასტურებენ ამას.

საკმაოა ვერბალური აგებულება დედანისა შეადაროთ ცდის პირის მონაცემს, რომ მაშინვე თვალში გეცემა "სუბიექტივიზმი" გარდაქმნაში.

ამ რეპროდუქციებში თვითეული ბავშვის განსხვავებული მეტყველება ჩანს.

რომ ეს ჭეშმარიტებაა, ამას ჩვენი ცდების სხვა სახის მონაცემებიც ამტკიცებენ.

ჩვენი ცდების საკმაო ნაწილი არაა შეტანილი ზემონაჩვენებ გრაფიკულ გამოხატულებაში. ეს ის

---

მასალაა, რომელიც აქა-იქ ზოგიერთმა ცდის პირმა მოგვაწოდა.

სახელდობრ იმ ცდის პირებმა, რომლებმაც მოთხრობის შინაარსი ვერ გაიზიარეს. რომელთათვისაც ჩვენს მიერ შედგენილი მოთხრობა მიუწვდომელი შეიქნა. ამისთანა ცდის პირების ჩვენება მეტად თავისებურია და დანარჩენებიდან მკვეთრად გამოიყოფა.

ამ შემთხვევაში რეპროდუქცია მხოლოდ ცალკეული სიტყვების სწარმოებს.

საინტერესოა, რომ ეს სიტყვები თითქმის უკლებლივ ჩვენს მიერ მიცემულ მოთხრობიდანაა. ასეთი სიტყვათა რაოდენობა ამ შემთხვევაში საგრძნობლად მეტია, ვიდრე მაშინ, როცა ცდის პირი მთლიანი მოთხრობის მთლიანს რეპროდუქციას გვაძლევს.

ცდის პირთა მიერ გადმოცემულ მთლიან მოთხრობაში, რა თქმა უნდა, გვხვდება დედანში მოცემული სიტყვები, მაგრამ მათი რაოდენობა მეტად მცირეა.

წინააღმდეგ კი, როცა ასეთი მთლიანი რეპროდუქცია შეფერხებულია, თითქმის მხოლოდ ის სიტყვებია, რომლებიც დედანშია მოცემული.

რადგან ცდის პირს ხელიდან უსხლტება ძირითადი ხაზი მოთხრობის შინაარსისა, იგი ძალაუნებურად მხოლოდ სიტყვებისაკენ განეწყობა და რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში მას მხოლოდ სიტყვათა უბრალო აგრეგატი შერჩეს.

ამ შემთხვევაში მართლაც მათ აღდგენას [illegible] დროითი ასოციაცია განაგებს.

ცდის პირები თანამიყოლებით გადმოგვცემენ მოთხრობაში მოსმენილ სიტყვებს.

ასე მაგალითად:

ზემოთ უკვე მქონდა დასახელებული მოთხრობა, რომელიც ძირითადი მოთხრობის შესამოწმებლად გამოვიყენე.

ამ მოთხრობას პირველად მძიმე [illegible] ქასაკის ბავშვს ვაწვდიდი, რომელთა ჩვენებების ანალიზს ჩვენს სხვა მასალების გამომხატველ ზემონაჩვენებ მრუდეებში, ადგილი არ დასთმობია.

მოვიყვანოთ ოქმის ამონაწერი:

ც. პ. ვაჩეჩილაძე ნოდარი /6 წლის/ /1/

" შეეშინდა ........... ქალის ....... მხეცბის "

როცა ორი დღის შემდეგ გამოვიძახე:

ც. პ. გაჩეჩილაძე ნოდარი /6 წლის/ /2/ "არ მინდა, არ მახსოვს"

---

მით უფრო ხშირი იყო როცა ამ ჰასაკსავე ბავშვები პირველ მოთხრობას სრულიად ვერ აღადგენდნენ ხოლმე. ასეთები ზოგიერთ 7-ის და 8 წლიან ბავშვებშიდაც შემხვედრია, განსაკუთრებით ჩამორჩენილებში.

მაგ.

ც.პ. ბელეაშვილი გივი /8 წლ./ : /სდუმს/..

............/ვეუბნები: ერთ სოფელში ცხოვრობდა..../, "ცხოვრობდა......... ორი ბავშვი.........ქალი.............კაცი .......ვაჟი ავად იყო........და მეშაობდა."

საინტერესოა რომ მეორე ცდების დროს ამგვარი ბავშვები, როგორც აქ მოყვანილ პირველ ჩვენებიდან აშკარაა /გაჩეჩილაძე ნოდარი /2/, ყველა იმ სიტყვებს, რომლებიც პირველს ცდაში განაახლებს, ვეღარ ამბობენ. ასეთი შემთხვევებიც ჭარბად მოიპოვებიან ჩვენს ცდებში.

ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ეშინგჰაუსის მიერ მოცემული კანონზომიერება დავიწყების მიმდინარეობის შესახებ, ირღვევა.

ასე რომ, უაზრო მასალის დამახსოვრების პირობებშიც, ენდა მიექცეს ზოგიერთ გამონაკლისებს ყუ-

რადლება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავიწყების პროცესი ამ შემთხვევაში უფრო სწრაფია, ვიდრე ემინგჰაუსს აქვს.

საქმე ისაა რომ ემინგჰაუსის შემთხვევაში მთელი ცნობიერება მიცემულ მასალისკენ არის განწყობილი.

ამ შემთხვევაში კი ერთი მხრივ მოთხრობის შინაარსის ძიებისაკენ არის განწყობილი პიროვნება, ხოლო მეორე მხრივ, რამდენადაც ეს ვერ ხერხდება, როგორც ზევით აღინიშნა, ამ პირობებში აღქმულ ცალკეულ სიტყვათა აგრეგატისაკენ.

ცხადია ასეთ პირობებში აღქმული შინაარსები გაცილებით სწრაფი ტემპით უნდა იკარგებოდენ.

ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით საჭიროა ამ ფაქტს ხაზი გაესვას, რომ ქვევით ამის შესახებაც უფრო დაწვრილებით შევჩერდე.

ამრიგად ჩვენი ცდების შედეგების იმ თვალსაზრისით განხილვა, თუ როგორია ზოგადად პროცესი თვითეული რეპროდუქციისა, ასე შეიძლება გამოითქვას:

მოთხრობის განახლების პროცესი მთლიანი მიმდინარეობის თავისებურ შთაბეჭდილებას სტოვებს.

---------------------------

რომელიც დაწყებისთანავე რაღაც თავისებურ მთლია-ნობის ხასიათს ატარებს.

ეს მთლიანობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ მოთხრობის ვერბალური აგებულება ტრანსფორმა-ციას განიცდის მოთხრობის აზრობრივი წყობის შე-მონარჩუნებით.

ეგევე ხასიათი რეპროდუქტული აქტისა, მტკიც-დება ნეგატური მონაცემებითაც: როცა მოთხრობის შინაარსი ცდის პირის ინტელექტუალური შეძლების ფარგლებს სცილდება, ნაცვლად მოთხრობის შინაარ-სისა, სიტყვათა აგრეგატის განახლება ხდება.

მართალია განახლებულ სიტყვათა მთელი აქსე-სუარი, უკლებლივ, მოსმენილ მოთხრობის ვერბალური შენობიდანაა გამოტანილი, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ყოველგვარი აზრიანი კავშირის გარეთაა აღქმული, მალე დავიწყებას ეძლევიან. ეს დავიწ-ყების პროცესი გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე დავიწყება ე.წ. უაზრო მარცვლებისა ებინგჰაუსის მრუდის მიხედვით.

ეხლა განვიხილოთ შინაარსის მიხედვით.

მრუდე ..A... და მრუდე ..B... აღდგენილ მოთხრობის შინაარსეულ მომენტების ასახვას წარ-მოადგენს, როგორც ითქვა.

პირველი შთაბეჭდილებისთანავე ცხადია, რომ მეორე აქტში აღდგენილი შინაარსი საგრძნობლად სჭარბობს პირველს. ესე იგი, დასტურდება ფაქტი რესტავრაციის პროცესში რეალური შინაარსის [illegible] მომატებისა.

იმ მთლიან რეაქციაში, რომლის შესახებაც ზევით ითქვა, რეალური შინაარსის ელემენტები განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი იმის მიხედვით, თუ როდის წარმოიშვა იგი: პირველად, თუ მეორედ.

მიუხედავად იმისა, რომ ელემენტთა განსხვავებულ რაოდენობას ვხვდებით მეორე შემთხვევაში, მაინც მეორედაც და მით უმეტეს პირველადაც, მათი რაოდენობა მეტად მცირეა.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ თითქოს მოცემულ მოთხრობიდან მხოლოდ აქა იქ არის ამოგლეჯილი, შემთხვევით, სახელდახელო ელემენტები და ხან იმავე სიტყვიერ სამოსელში, ხან კი სრულიად ახალ ტერმინებშია გადმოცემული.

აქ ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ზემოხსენებულ გაუგებარს მოთხრობის რეპროდუქციის ცდას ქონდეს ადგილი, რომელიც დამარცხებით მთავრდება, [illegible]

---

თითქოს აქაც მოთხრობის შინაარსეული დაუძლევლობის გამო სიტყვათა აგრეგატი გვჩებოდეს ხელთ.

ნამდვილად, როგორც ვიცით, ასე არაა.

ეს მრუდეები მთლიანივე მოთხრობის ანალიზის შედეგადაა შემუშავებული.

ეს მთლიანი მოთხრობა, რომელიც რეპროდუქციის პროცესში გაჩნდა, მხოლოდ ნაწილობრივ ემყარება მრუდეში ასახულ ელემენტებს.

რას წარმოადგენს დანარჩენი ნაწილი?

რეპროდუქციის პროცესში წარმოშვებული შინაარსით ერთს მოსრულებულ მთლიანობას წარმოადგენს. აქაც რაღაც მთლიანი ამბავია გადმოცემული.

მრუდეში მკაფიოდაა ასახული, თუ რა ელემენტებმა ჰპოვა ადგილი ამ ახალ შინაარსეულ მთლიანობაში რეალურად მოცემულ მოთხრობის შინაარსიდან.

მრუდეში ხაზგასმული ელემენტები ერთგვარ ბაზას წარმოადგენს თითქოს, რომლის საფუძველზე ახალი შენობა იგება.

ეს ბაზა პირველს რეპროდუქციაში გაცილებით უფრო მცირე მასშტაბშია მოცემული, ვიდრე - მეორეში.

მეორეში მისი დიაპაზონი შორს სცილდება პირველს და როგორც ქვევით დავინახავთ, ამაში ვლინ-

---

დება ფაქტი. ნამატი განახლებისა მეორე რეპროდუქციის დროს.

ეხლა კი ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ახლად წარმოშვებულს მოთხრობაში ეს ბაზა, მიუხედავად ამისა, მცირე ნაწილს წარმოადგენს, როგორც უკვე ითქვა.

ამ მოთხრობების მაქსიმალურ შედგენილობას ისეთი შინაარსები წარმოადგენენ, რომლებიც დედანში ან სრულიად არ მოიპოვებოდენ, ან მის განუახლებელ ელემენტების რაღაც მსგავსებას წარმოადგენენ.

აქედან ცხადია, რომ რეპროდუქციის მონაცემი ორსავე შემთხვევაში კომპლექსური შედგენილობისაა.

თუ იმ შინაარსებს, რომლებიც საექსპერიმენტო მოთხრობიდან მომდინარეობენ და რომლებსაც მე რეალური ელემენტები ვუწოდე, ობიექტურ შინაარსებათ მივიჩნევთ, ხოლო იმ შინაარსებს, რომელთა შემომატებით ცდის პირი ახალს მოთხრობას ქმნის უნებლიე რეპროდუქციის ნიშნის ქვეშ, სუბიექტურ შინაარსებს ვუწოდებთ, მაშინ ჩემს მიერ აღნიშნული კომპლექსური შედგენილობა სუბიექტურსა და ობიექტურ შინაარსებაზე დაიყვანება.

პირველ ყოვლისა საჭიროა ეს კომპლექსური შედგენილობანი ერთიერთს შევადაროთ.

-------------------------------

ეს იმ მიზნით კი არა, რომ ამით ე.წ. რეპროდუქციის ე.წ. ნამატი პირდაპირ გამოვიანგარიშოთ. ეს შეუძლებელია ამის მიხედვით დადგინდეს პირდაპირ.

ამ ე.წ. ნამატის ხელსახები სახით გათვალისწინების მიზნით, ზემოთ მოვიყვანეთ ჩვენ მრუდეები. იქ უშუალო კრიტერიუმი გვეძლევა ხელთ.

ამ კი, ამ კომპლექსური შედგენილობების შედარებით, მხოლოდ დამატებითი ფაქტების მოლოდინი შეგვიძლია აღვძრათ.

მართლაც, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ რეპროდუქტული აქტის გასაქანი იმთავითვე იხაზება. შესაძლებელია ზედმომქმედ სიტუაციის ზედგავლენით იმთავითვე იფარგლება ეს [illegible].

მაშინ რეპროდუქციის [illegible] პროცესუალური რეალიზაცია ორს მომენტს ემყარება: 1/მთლიანი მოხაზულობის წინასწარი ჩანასახი და 2/მისი შინაარსებით შევსება.

თუ ეს გამართლდება, მაშინ იმ რეალურ ელემენტთა გარდა, რომელთა მრუდე შევიმუშავეთ, და რომელიც ძირითად საზომს შეიცავს ჩვენი საკითხის რკვევის დროს, მეორე საზომიც მოგვეცემა.

ეს იქნება განსხვავება მოხაზულობის დიაპაზონში პირველსა და მეორე შემთხვევაში, ე.წ. რეპროდუქციის

---

და .B.. რეპროდუქციის დროს.

თუ დამტკიცდა რომ ასეთი წინასწარი მოხაზულობის ჩანასახი აღდგენის აქტის განუყრელ მომენტთაგანს წარმოადგენს, მაშინ მის თავისებურებას პირველსა და მეორე შემთხვევაში არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ჩვენს მიერ დასახელებულ რეალურ ელემენტების რაოდენობას.

ზემოთქმულის თანახმად ამ წინასწარ მოხაზვას გასაქანი თავის დემონსტრაციას რეპროდუქციის პროცესში წარმოშვებულ მოთხრობის ვერბალურ შემადგენლობაში უნდა ახდენდეს.

აქედან ცხადია, ჩვენთვის აუცილებელია A.. რეპროდუქციის მონაცემი, ვერბალური შედგენილობის მიხედვით, შევადაროთ .B... რეპროდუქციას.

ვერბალური შედგენილობის რიცხობრივი გამოანგარიშება და მათი შედარების შედეგი, ერთერთი წამყვანი მაჩვენებელთაგანი იქნება, ჩვენი პრობლემის კვლევის მიმართულებით.

ჩვენი ცდების გათვალისწინება გვიმტკიცებს, რომ ამ მხრივ არავითარი წესზომიერება არ არსებობს.

ცდები ამტკიცებენ, რომ აქ ყოველნაირი შესაძლებლობა გვხვდება: ხან პირველი რეპროდუქცია სჭარბობს

------------------------------

ვერბალური აღრიცხვის მიხედვით მეორეს, ხან - პირი-ქით, ხან ისინი ტოლნი არიან.

ე.წ. რეალური ელემენტების ურთიერთობა ყველა ამ შემთხვევებში ზუსტად ერთნაირია: რაოდენობა B.. რეპროდუქციის შემთხვევაში სჭარბობს A... რეპროდუქციის რეალ ელემენტთა რაოდენობას.

რომ წესზომიერებას კომპლექსურ შედგენილობათა მიხედვით ..A.. რეპროდუქციისა და .B.. რედპროდუქციის ურთიერთობა არ ექვემდებარება, ეს ადვილად შეგვიძლია დავამტკიცოთ.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთერთი ცდის ნიმუში, რომელიც ტიპიურ მონაცემს წარმოადგენს.

ც.პ. ზ. ლ. / 7 წლ./

A... რეპროდუქციის შედეგი = 45 სიტყვას.

B.. " " = 38 "

მაგრამ

ც.პ. ნ.ც. /7წლ./ = A.... = 53. B. = 91.

ზემოთ განახლების ორი სხვაობა იყო ნაჩვენები.

-------------------------------

ერთს ამ სხვაობათაგანს ეს შემთხვევები წარმოადგენენ, რომლებშიდაც პირველ რეპროდუქციაში წარმოშვებულ მოთხრობას მისდევს მეორე რეპროდუქციის დროს შექმნილი მოთხრობა.

მეორეს კი ე.წ. გამტყუნებული რეპროდუქციები წარმოადგენენ: აქ ცდის პირი სიტყვათა აგრეგატს ინარჩუნებს მხოლოდ და უმეტეს შემთხვევაში მეორე რეპროდუქციის პროცესში მათი რაოდენობა ან ძლიერ მცირდება პირველთან შედარებით, ან ნულამდე დადის.

აქ რეპროდუქტული განწყობის ის პირველი ელემენტი, რომელიც საფუძვლად ედება სიტყვების მოთხრობად ქცევის პროცესს, ცდის პირის ჩვენს_სიტუაციისადმი პირველი დაპირისპირებისთანავე, ირღვევა და სწორედ ამაშია რეპროდუქტული განწყობის გამტყუნება.

შედეგებიც სრულიად განსხვავებულია:

თუ პირველი სახის რეპროდუქციების შემთხვევაში მოთხრობის საერთო მოხაზულობა ხან გადასცილდება ხოლმე თავის კაქანებით რეალურად მოცემული მოთხრობის საერთო მოხაზულობის საზღვრებს, ხან ჩამორჩება, ხან ტოლია, ამ მეორე სახის რეპროდუქციებში სურათი მკვეთრად იცვლება. აქ ასეთს რხევას ადგილი სრულიად აღარ აქვს.

---

სიტყვები, რომლებსაც აგრეგატულად იჭერს ცეის პირის ცნობიერება, რიცხობრივად იკლებს სრულს ნულამდე დაყვანის მიმართულებით.

შეუძლებელია მივიღოთ მათი აღმა-დაღმა მოძრაობა.

ასეთი ქანაობა აქ გამორიცხულია.

ამ რიგად ეს რხევა, ეს მოძრაობა დაუდეგარი საზღვრე-ბის მიმოყოლებით ე.წ. კომპლექსური შემადგენლობის რეპროდუქციებისა ..A.. შემთხვევაში, და ..B... შემთ-ხვევაში, რამდენადაც იგი ვერბალური მარაგის მუდმივს ცვალებაში იჩენს თავს, რაიმე რიცხობრივი შედარების შესაძლებლობას გვაცლის.

აქედან ცხადათ გამომდინარეობს, რომ ამ მიმარ-თულებით შედარების კრიტერიუმის გამოძებნა, ვერ ხერ-ხდება.

გვრჩება ერთად ერთი საზომი ჯერ-ჯერობით, რომ-ლის მიხედვითაც ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ესა თუ ის შეხედულება ე.წ. დავიწყების მიმდინარეობის ფსახებ ჩვენს მიერ ნაჩვენებ პერიოდში.

ეს საზომი, როგორც ზემოთ ითქვა, ე.წ. [illegible] აზრითი ელემენტების რაოდენობაში მდგომარეობს.

აზრითი მომენტების მიხედვით კი აშკარადა ჩანს ..B.. რეპროდუქციის უპირატესობა.

მეხსიერების ე.წ. პარადოქსი ჩვენს მიერ ზემო-

---------------------

მოყვანილ მრუდის მიხედვით ფაქტია.

მართალია ამის კრიტერიუმად ჯერ აზრითი ელემენტების რაოდენობა მივიჩნიეთ, მაგრამ ქვემოთ დავინახავთ რომ მასთან ერთად მრავალი დამატებითი დასაყრდენიც მოიპოვება.

ჯერჯერობით კი უნდა აზრის მიხედვით, ლოგიკურად ..B... რეპროდუქცია უახლოვდება დედანს.

აზრითი შინაარსი იმატებს მეორე შემთხვევაში.

გამოდის, რომ ლომმ იერიში კი არ მიიტანა მასალაზე, არამედ პირიქით აამაღლა იგი!

მაშასადამე მოთხრობა გარეგნულად, ლიტონი ვერბალური თვალსაზრისით, შეიძლება უთანაბრდებოდეს, ემატებოდეს, ხან იკლებდეს მეორესთან შედარებით /..A. და ..B.. იგულისხმება/. მაგრამ ერთი კი ყოველთვის უცვლელად რჩება:

აზრითი შინაარსი მეტია მეორე რეპროდუქციის შემდეგ, ვიდრე პირველად.

მაშასადამე მოთხრობის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სამოსელი იცვლება თითქოს და ანაზდეულად, რაიმე ზუსტი წესზომიერების გარეშე.

სამგიეროდ აზრითი შინაარსი ფართოვდება ..mutatis mutandis..

---

აზრითი შინაარსის გაფართოება ამ დაუდეგარი ქანაობის მიუხედავად, მუდამ ვლინდება. იგი ახალი ნაკადივით იჭრება ამ ცვალებად სამოსელში და შიგნიდან სცილდება ძველი საზღვრების ნაპირებს.

აზრი პირველ რეპროდუქციაში მოხაზულ საზღვრებს სცილდება და სხვადასხვა ტემპით მომქმედი ნამატის სახით მკვეთრი გამოვლინებით იგრძნობა ყოველთვის მეორე რეპროდუქციის წიაღში.

იმ მეორე რეპროდუქციისა, რომლის ვერბალური სამოსელი ხან ტოლია, ხან მეტი და ხან ნაკლები ...A.. რეპროდუქციასთან შედარებით.

აქ, ამ სამოსელის ქანაობისა და ნამატის უცვლელად გამოვლინების ურთიერთობა საოცარი კვანძის სახითაა მოცემული ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა ამ კვანძის ამოხსნაზეა დამოკიდებული.

ყოველი ცდის პირის ჩვენება იშვიათი განმეორებით იძლევა წინამორბედი ცდის პირის პასუხებს ამ მხრივ.

ნამატის თვალსაჩინოება მეტად მკვეთრია.

ამ მხრივ პასუხები სტერეოტიპულად მეორდებიან.

მეორე განახლების შემთხვევაში სინამდვილე

---------------------------

მეტად იგრძნობა ცდის პირის ჩვენებებში.

ვერბალური სამოსელი, სიდიდე მოცულობისა ხან ერთია, ხან მეორე; ხან მომატებულია, ხან იგივეა, ხან კი ნაკლები გაცილებით.

ეს დისპროპორცია, ურთიერთისაგან ჩამოცილფება ამ ორი მონაცემისა: სამოსელის და შინაარსის, იმდენად მკვეთრია, რომ ჩვეულებრივი მეთვალყურეც ადვილად შეამჩნევს მას. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი პედაგოგიური პრაქტიკაც, როგორც ზემოდ აღინიშნა, ადვილად ადასტურებს მას.

ამ რიგად მოცემული მოთხრობის გარდაქმნა ხდება. ეს გარდაქმნა იმაში გამოიხატება, რომ სრულიად ახალს მოთხრობას ვღებულობთ ნაცვლად ძველისა.

ეს გარდაქმნა, ცხადია, მოთხრობის ვერბალურს შედგენილობასაც ატყვია. აქ უხვადაა სრულიად ახალი ტერმინები, რომლებშიდაც ნაწილობრივ ძველი შინაარსებია ასახული, ნაწილობრივ კი სრულიად ახალია მოტანილი.

თ უ მოთხრობის ამ ვერბალურ შედგენილობას, მის ვერბალურ სამოსელს ვუწოდებთ /რადგან ერთსა და იმავე ტერმინში ბევრი ურთიერთისაგან განსხვავებული შინაარსი შეიძლება მოთავსდეს/, მაშინ შეგვეძლება ვსთქვა,

------------------------

ქტთ, რომ სამივე მოთხრობა /დედანი, A რეპროდუქცია და B რეპროდუქცია/ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ მხრივ.

ეს განსხვავება არა მარტო იმაში იჩენს თავს, რომ თვითეულ მათგანში წმინდა ვერბალური შედგენილობა სხვადასხვანაირია, არამედ იმაშიც, რომ მოცულობა თვითეულ მათგანისა სხვადასხვაგვარია.

ვერც ერთი რეპროდუქციათაგანი ვერ აღწევს დედნის მოცულობას.

ასე მაგ. ჩვენ შეგვიძლია ეს ფორმალური განსხვავება სიტყვათა რაოდენობის მიხედვით განვსაზღვროთ. ამის უფლება ჩვენ მოგვეპოვება თუ გინდ იმისდაგვარად, რაც მინემ აზრითი ერთეულების მიხედვით ჩატარა.

ჩვენს სტრუქტურაში ამ ფორმალური განსხვავების ზუსტად ჩარჩოებში მოქცევასაც განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ვნახავთ.

რეპროდუქციის შედეგთა დედანთან შედარება ამის მიხედვით გვაძლევს შემდეგ სურათს:

პირველი რეპროდუქციის შედეგი დედანთან შედარებით = 33%.

---

მეორე რეპროდუქციისა კი = 25%-ს.

ორივეს საშუალო = 29%.

ეს უკანასკნელი იმითაა საინტერესო, რომ იგი ჩვენი მასალის პირობებში რეპროდუქტორი აქტის მაქსიმალურ პოტენციას გვითვალისწინებს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი მასალის სპეციფიურობითაა გამოწვეული, რაც როგორც ზევითაც ითქვა, ჩვენი პრობლემის თავისებურებით განისაზღვრება.

თორემ ისე, არსებობს შემთხვევა, როცა ეს აქტი მაქსიმუმს 100-იან აღდგენაში გვიდასტურებს.

ამის დემონსტრაციას ჩემს მიერ ზემოდასახელებული მეორე მოთხრობა წარმოადგენს. იქ რეპროდუქ[illegible] მოთხრობის შინაარსი თითქმის ემთხვევა დედანის შინაარსს და ვერბალური შედგენილობაც ერთნაირია თითქმის მოცულობით.

ამ შემთხვევაში, ასეთი ექსპერიმენტული მასალის გარჩევა, ჩვენი ინტერესის ფარგლებს გარეშეა.

ჩვენთვის აქ განსაკუთრებულს ინტერესს სწორედ რომ განსაკუთრებული რეპროდუქციები წარმოადგენენ.

ამ რეპროდუქციების მიხედვით კი უნდა აღინიშნოს

---------------------------

კიდევ ის გარემოება, რომ თვით ცდის პირებიც მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მართალია A... რეპროდუქციები ყველასი, თვითეული დაშორებულია დედნისაგან, მაგრამ ეს საერთოდ.

შიგნით, ე.წ. ინტრაინდივიდუალური განსხვავებულობა მაინც [illegible] საკმაო დიაპაზონისაა.

ეს ინტრაინდივიდუალური განსხვავება B... რეპროდუქციის დროს საგრძნობლად იკლებს.

ყველა ამ მონაცემებში პირველყოვლისა მაინც ე.წ. მოცულობითი განსხვავება იქცევს ყურადღებას: მოცულობითი განსხვავება საერთოდ [illegible] A... რეპროდუქციის და B... რეპროდუქციისა დედანთან შედარებით.

ახლა განვიხილოთ, რა ურთიერთობაშია რეალურად აღწერილ ელემენტთა რაოდენობა თვითეული სერიის რეპროდუქციისა დედანთან შედარებით.

ამ მხრივ A...... რეპროდუქცია დედანთან შედარებით = 10% +)

B... " " " = 16%

ამრიგად მივიღებთ დედანთან შედარებით:

A.. რეპროდუქციის ფორმალური შეცვლილობა /ანუ მოცულობა/ = 33%.

B.... " " " " = 25%.

---

+) იხ. [illegible]

A... რეპროდუქციისა და B... რეპრო-
დუქციის ორმხრივი /მოცულობისა და
რეალური შედგენილობის/ ურთიერთო-
ბის მრუდე.



A.... რეპროდუქციის რეალური შედგენილობა = 10%.
B.. " " " = 16%.

აქ თავისებური კვანძია ჩვენს წინაშე.
ეს კვანძი რამდენსამე ელემენტს შეიცავს.

1. ვერბალური მხარე. ეს მომენტი თავის მოცულობით მეორე სეანსში, როგორც წესი, იკლებს. თუმცა აქა-იქ, ინდივიდუალურ შემთხვევებში, იმატებს კიდეც. მაგრამ ეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, საერთოდ კი მისი შემცირება თვალსაჩინო ხდება.

2. რეალური შინაარსი. შინაარსეულად, მეორე სეანსში გაფართოების ტენდენცია ინტენსიურად იგრძნობა.

მაშასადამე ხდება ასე: თუ პირობით იმას, რასაც მეორე სეანსის დროს ვიღებ /.B.. რეპროდუქციის შედეგად მიღებულ მოთხრობას/ მთლიან Gebilde...-ს სახით წარმოვიდგენთ, შიგ ორს პოლიუსს დავადასტურებთ. ერთში მომატება იგრძნობა პირველ რეპროდუქციის შედეგთან შედარებით, მეორეში – დაკლება.

კვანძი სწორედ ამ დისპროპორციას გამოხატავს. ეს დისპროპორცია იმდენად მკვეთრია ადგილებში, რომ იგი ასეთი ზუსტი შედარების გარეშეც თვალში გვეცემა.

---

[illegible]

[illegible] [illegible]

როცა A.. მოთხრობას .B. მოთხრობას ვადარებთ, ნატურალური სახითაც, განსხვავება ადვილი საგრძნობია. პირველში მეტად იგრძნობა [illegible] დედანთან შედარებით.

მეორეში ეს [illegible] თითქოს შევსებას უახლოვდება.

ამ რიგად მეორე სეანსში მოთხრობის ცვლილება შემდეგი მიმართულებებით ხდება: ლოგიკურად [illegible] იგი ფართოვდება მოცულობით, ხოლო ფორმალურად ვიწროვდება.

ამ მოთხრობის სტრუქტურა ამ ორი ტენდენციის საფუძველზე იგება: ლოგიკური მოცულობის გაფართოება, ვერბალური მოცულობის შეკვეცის ხარჯზე ხდება თითქოს;

ასე რომ ცნობილს ჰიპოთეზს მნემური ნამატის შესახებ, ანუ ნაკლები ეფექტით შეიძლება დაემატოს ჰიპოთეზი იმ ძირითადი [illegible] პერცეპციის შესახებ, რომელსაც იგი პირველი /A/ რეპროდუქციის შინაარსში იწვევს.

იგი ამ პირველი რეპროდუქციის შინაარსში ე.წ. შეუფერებელი ანუ ინდეკვატური ელემენტების ელიმინაციას ეწევა.

ყოველ შემთხვევაში მეორე სეანსის /B/ რეპროდუქ-

-----------------------------

ცია შინაარსეულად ერთ დახვეწილია იმ ზედმეტი ვერბა ლიზმისაგან, რომლის ჩარჩოებში მოქცეულ ინადექვატურ შინაარსებთან რეალური ელემენტების დაპირისპირებით და დაკავშირებით, ცდის პირმა როგორც მთლიანი მოთხრობა ააგო პირველი აღდგენის დროს.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ მართლაც მეორე შემთხვევაში, განმეორებული განახლების შემთხვევაში, შინაარსეულად სინამდვილის გაძლიერებამ ის სივრცითი მოხაზულობა, რომელიც მოთხრობას A..... რეპროდუქციის შემთხვევაში ჰქონდა, დააზარალა.

იგი შეჰკვეცა მან.

საჭიროა გაირკვეს თვითონ ამ ნამატის ბუნება.

იგი შემდეგი კითხვების გარკვევით შეიძლება მოხდეს:

.B. რეპროდუქციის დროს წამოჭრილი ნამატი აზრით შინაარსისა ანაზდეულად ხდება, თუ რაიმე წესზომიერებას ექვემდებარება იგი?

ე.წ. შეკვეცა რაგინდარა ნაწილების ხდება, თუ აქაც რაიმე პრინციპის დადგენაა შესაძლებელი?

აქ საჭიროა მოვიგონოთ შემდეგი ფაქტები.

---------------------

ეს ფაქტები ლიტერატურიდანაა ცნობილი. კერძოდ აქაც პირველ რიგში ბინეს მივმართოთ.

იგი ამბობს: " მეხსიერების დანაკარგი შეეხება მოთხრობის მეორე ხარისხოვან ნაწილებს; და არა არსებით ნაწილებს, რომელთა თითქოს და გამოცალკევება ხდება; არსებით ნაწილებად უნდა მიჩნეულ იქნეს ის ნაწილები, რომლებიც ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანნი არიან, აგრეთვე ის ნაწილები, რომლებიც ლოგიკურად მნიშვნელოვანნი არიან".

რა ხდება ამის საბადლოთ ჩვენს შემთხვევაში?

ჩვენი პირველი ცხრილი მაჩვენებელია აზრითი ნამატისა.

აქ ჩანს, რომ მომატება გარკვეულს ხვედრებში ხდება [illegible].

მეორე /.B.../ შემთხვევის მრუდე გვაჩვენებს, რომ მეტია შინაარსეული დიაპაზონი.

ისინი მის მეხლებში ჩანან.

განვიხილოთ რა აზრობრივი შინაარსისაგან შესდგებიან ნამატი ადგილები.

მეორე აღდგენის დროს, მოთხრობის შინაარსიდან პირველ ყოვლისა თავს იჩენს შემდეგი მომენტი.

როგორც ჩვენი შედგენილი მოთხრობა გვიჩვენებს,

ის ამბები, რომლებიც შიგ არის აღწერილი, ძველ დროში ხდებოდა.

ეს დრო, პირველ აღქმენის შემთხვევაში, იშვიათადაა დასახელებული.

მეორეში იგი განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება. ამ ქრონოლოგიურ მომენტს კი, დედანში, ლოგიკურად, თითქმის პირველი ადგილი ეკუთვნის.

ამბავი, რომელიც მოთხრობის ძირითად ქარგას წარმოადგენს, მხოლოდ წარსულში შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი შეუძლებელია დღეს ჩვენს პირობებში. იგი მთლიანად წარსულისაკენ განაწყობს ადამიანს და აწმყოს დროებით ჩამოაშორებს.

წყვდიადით მოსილს სიტუაციას, რომელშიდაც, დაავადებული დედამთილი დახმარების ყოველგვარ იმედს მოკლებულია, მხოლოდ ძველ დროში შეიძლებოდა ქონოდა ადგილი.

სულ სხვა მნიშვნელობისაა ლოგიკური თვალსაზრისით, ის ადგილები, რომლებშიდაც, ვსთქვათ, ბავშვის ავადმყოფობის მიზეზის გამორკვევისა თუ გაურკვევლობის შესახებაა საუბარი.

ეს ადგილები შეიძლება სულ მოვხსნათ მოთხრობიდან. მოთხრობა ამით არ დაზარალდება მაინცდამაინც.

სამაგიეროდ მოთხრობის ზოგადი ქრონოლოგიური დაცვა შეუძლებელია შეიკვეცოს: მოთხრობა მთელი, შინაგანი წყობით ამ დათარიღების ზუსტ ჩვენებას ესჯინება.

მაგრამ მას ეს ადგილი მოთხრობაში მაშინ ენიჭება, თუ მოთხრობის სხვა ლოგიკური ხვეელებით, მხედველობის ცენტრში მოექცა.

სწორედ ასეთ ცენტრალურ ფიგურას მოთხრობაში, წარმოადგენს ქვრივი ქალი. მაშასადამე მოთხრობის მეორე ლოგიკური საძირკველი ეს პერსონაჟია.

მესამეც, ამ ძირითადი პერსონაჟის პროფესიული საქმიანობა და ასე შემდეგ.

ეხლა თუ ჩვენს პირველს მრუდს ჩავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ცდის პირთა ტენდენცია ამ ძირითადი ნასკვებისაკენ არის მიმართული.

მართლაც! პირველს რეპროდუქციაში ეს ადგილებია აღნიშნული. ეს შინაარსები, ამა თუ იმ ტერმინებში, ყველას აქვს გადმოცემული.

მთელი მოთხრობის აღდგენის ჯონესებურს მრუდეში ეს ფაქტი იშვიათი სინათლით ჩანს.

ეს ხაზი ცენტრალური ხაზია მთელს მოთხრობაში: ეს ქარვაა, რომლის მიყოლებით ხდება მთლიანი ნაგებობის

---

საბოლოო გაფორმება.

მაგრამ აქვე მეორე ხაზი სჩანს, რომელსაც მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს.

ეს ხაზი სწორედ ის ხაზია, რომელიც ბინეს სიტყვით რომ გამოვსთქვათ, ფსიქოლოგიურს მომენტს შეიცავს.

ჩვენ მოთხრობაში ასეთი ადგილები საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

არის ადგილები ჩვენს მოთხრობაში, რომლებიც მეტად ემოციონალურად განაწყობს მართლაც მსმენელს. მათ შეიძლება ზედმეტი ემოციონალობით დატვირთულ ადგილები ვუწოდოთ.

ასეთებია: 1/ ბავშვის ავადმყოფობა, 2/ავადმყოფობის მიზეზის გამოურკვევლობა, 3/დედისერთობა ბავშვისა /რომ ის დედის ერთაა/, 4/მედიკურ-სანიტარული უპატრონობა, 5/ურთიერთ დახმარებითი ქცეულება დედაშვილს შორის.

ჩვენი ცდის პირების ჩვენებებში ეს ადგილებია კიდევ, მართლაც, უკლებლივ გადმოცემული.

საკმარა A.. რეპროდუქციის შედეგს გავეცნოთ, რომ ეს ადგილები მართლაც აღმოვაჩინოთ შიგ.

ასე რომ, თუ მას ზედმეტს დანართს სრულიად ჩამო-

---

ვაშორებთ, მივიღებთ შემდეგს: "ცხოვრობდა, ერთი ქვრივი ქალი, რომელსაც მეურნეობაც შეეძლო, მაგრამ შვილი ავად ყავდა, ხშირად ავადმყოფობდა. <u>თბილისში</u> წაყვანის თავი არ გააჩნდა.
დღისით და ღამით მუშაობას შეუდგა, მუშაობამ გასცეხა, ლოგინად ჩააგდო და ვერც დედა შველდა შვილს და ვერც შვილი დედას".
აი პირველი რეპროდუქციის რეალური ჩონჩხი. ამაზე ააგო ჩვენმა ცდის პირმა მთლიანი მოთხრობა, თავისებური ..Gebilde.....
როგორ ფართოვდება ეს რეალური ჩონჩხი მეორე რეპროდუქციის დროს? მაგრამ სანამ ამას ვეპასუხებდე, ისევ A. რეპროდუქციის შესახებ უნდა აღვნიშნო:

საქმე ისაა, რომ როგორც აქ აშკარადა ჩანს, როცა ჩვენ ცდის პირს მოთხრობას ვეკითხავთ, შეიძლება მან იქიდან მხოლოდ ნაწილი გადმოიღოს, მაგრამ იგი მაინც რაღაც მთლიან მოთხრობასა ქმნის.

როგორც ჩანს, მოთხრობის მოსმენის დასაწყისიდანვე, მასში თავისებური განწყობილების ჩამოყალიბება იწყება.

ეს განწყობილება მოთხრობის შემადგენელ რეალურ ერთეულთა შესაბამისად როდი ყალიბდება ყოველთვის.

---------------------------

პირიქით, ცდის პირი შეიძლება ასცდეს ამ გზას, მაგრამ მიუხედავად ამისა მთლიანი მოთხრობა გადმოგვცეს.

ზევით აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში ერთგვარს მთლიანს განწყობას ეძლევა გასაქანი და მის თავისებურებაზე დამოკიდებული – ამ განწყობის დასაწყის ეტაპზე დამოკიდებული – მოსმენილი შინაარსებიდან რომელს ელემენტებს შემოინარჩუნებს ძირითადი ბირთვის სახით. იმათ, რომელიც ნამდვილი მოთხრობის ძირითად ბირთვს შეიცავს და ამ რიგათ მის მთლიანს დემონსტრაციას შესაძლებელ ჰყოფს, თუ – სხვას.

ამ რიგად დასაწყისში ორგვარი პროცესია შესაძლებელი: ან პირველი დაპირისპირებისთანავე ადექვატური განწყობილება იწყება და მთელი მოთხრობის შინაარსი ჯეღებლივ ისახება, ან გარკვეული განწყობა იწყება, რომელიც მოთხრობის შინაარსეულ გაშლას არ მისდევს თან, არამედ თვითონ ახდენს ამ პროცესში ელემენტების შერჩევას.

სადაც ასეთი მთლიანი განწყობა იმთავითვე აღკვეთილია, იქ სიტყვათა უბრალო აგრეგატი რჩება მოთხრობად მხოლოდ, და მათი აღდგენა სრულიად სპეციფიურად მიმდინარეობს.

---

ბინეს დებულება, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, ცოტა განსხვავებულს დროითი მანძილს გულისხმობს.

ჩვენი ეს შემთხვევა კი უშუალო რეპროდუქციას შეეხება.

ამიტომ მის დებულებას ასეთი დამატება შეიძლება გავუკეთოთ:

უშუალო აღდგენის შემთხვევაშიც რეპროდუქციის აქტი ორი მიმართულებით მუშაობს: იგი მოცემულ მასალიდან ლოგიკურსა და ე.წ. ემოციონალურ მომენტებს გამოჰყოფს განსაკუთრებით და მათს თავისებურს ურთიერთობაზე მთლიანს ნაგებობას ქმნის.

არის შემთხვევები, როცა ლოგიკური მომენტები სრულიად იჩრდილებიან, და რეპროდუქციის მონაცემი მხოლოდ ე.წ. ემოციონალური შინაარსებით განისაზღვრებიან საფუძველში.

ეს ხდება ონტოგენეტური განვითარების ქვედა საფეხურებზე.

მათ მაგალითებს ის ცდები იძლევიან, რომლებიც ჩვენ სულ მცირე ჰასაკის ბავშვებზე ჩავატარეთ სხვა მოთხრობის პირობებში.

ამ ჰასაკის ბავშვთა მონაცემებში მხოლოდ ემო-

---------------------

ციონალურ შინაარსებს ვხვდებით. მათში ლოგიკური ელემენტები აქა-იქაა. ემოციონალური შინაარსები კი - ჭარბად.

"ხეზე დაჯახება = /იხ. ზემო მოყვანილი მოკლე მოთხრობის შინაარსი/,- "სისხლის გამოდენა = და სხვა ამგვარი ეპითეტები მოფენილია მოთხრობაში.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ მართლაც ემოციური მეხსიერება, რომლის შესახებაც ბლონსკი ამბობს, როგორც ქვედა პასაჟების დამახასიათებელ მნემურ თავისებურებებზე, აქ მკაფიოდ ჩანს, და იგი მართალი უნდა იყოს.

როგორია ნამატის ევოლიუცია მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში, ..B.. რეპროდუქციის შემთხვევაში?

მოვიყვან ..B.. რეპროდუქციაში მოცემულ მოთხრობის რეალურ შინაარსს, რომლის ანალოგია ..A.. შემთხვევაში, ზევით წარმოვადგინე.

იგი შემდეგი სახისაა:

"ძველად, დიდი ხნის წინ, ცხოვრობდა ერთი ქალი ამ ქალს ქმარი ადრე გარდაეცვალა. იგი მიწის დამუშავებას

---------------------------

ეწერა:

"ხნავდა, სთესავდა, მკერაობაც შეეძლო ცოცაილეენი, მაგრამ იმ სოფელში სხვები ერთო კარგათ კერავდენ. ამიტომ მას ხელი არა ქონდა. ვაჟი მისი ხშირად ავადმყოფობდა, რადგან ჯანმრთელი არ იყო. ექიმი არ იშოვებოდა და თბილისში წაყვანის თავი არ ქონდა. გადაწყვიტა ბევრი ემუშავა და იმუშავა. სოფლელები ამბობდენ დაეცემათ. მალე წელში გაწყდა და ლოგინად ჩავარდა".

ესაა მეორე რეპროდუქციის ე.წ. რეალური შედგენილობა. არაა საჭირო ამისა და .A.. რეპროდუქციის რეალური შედგენილობის დაპირისპირება საგანგებოდ.

მათი ასეთი სიმულტანური აღქმის გარეშეც მათ შორის მკაფიო განსხვავება ადვილად დასადასტურებელია.

აქ ჩანს, რომ ნამდვილი ძლიერი ტემპით ლოგიკური მიმართულებით იჭრება აღდგენის პროცესში მეორეჯერ.

მოთხრობაში, როგორც ზევით აღინიშნა, ლოგიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი <u>დროს</u> ჩვენებას უჭირავს /"ძველ დროში"/.

პირველი აღდგენის მონაცემში ეს მომენტი გამოვარდნილია სულ.

მეორეში კი, თითქოს და სრულიად ანაზდეულად, იგი

---

თავის ადგილას გვევლინება.

ამ რეპროდუქცული შინაარსების ანალიზის დროს მოთხრობის დედანი მუდამ თვალწინ უნდა ვიქონიოთ.

თუ მას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ იგი ორი ნაწილისაგან შესდგება მართლაც: ერთი მისი ლოგიკური ჩონჩხია, მეორე კი - ამ ლოგიკური ჩონჩხის სამოსელი, მისი ძირითადი ნაწილების გაშლა-გაფართოება.

ესენი აფართოებენ მოთხრობის ძირითად აზრს, მის დედააზრს.

შლიან მოთხრობის დედააზრს და ჰოლებენ მისი შინაარსის გამოვლინებას.

მიუხედავად ამისა, თვითეული ნასკვთაგანი მოთხრობაში, მაინც დამოუკიდებელი ღირებულების შემცველია.

როგორც დავინახეთ, ..B. რეპროდუქცია ამ ძირითადი ნასკვების მეტს ერთეულს შეიცავს.

ამაში ლოგიკური ნაწილი, როგორც არა ერთხელ აღვნიშნა, იმატებს.

მომატება იმაში ვლინდება, რომ ფართოვდება იგი ..A.. რეპროდუქციასთან შედარებით.

მოთხრობის იმ ნაწილის შესახებ, რომელშიდაც

---

მოთხრობაში გადმოცემული ამბის დათარიღებაა, უკვე ითქვა.

რომ იგი მეორე რეპროდუქციის დროს ძალით იჭრება წინა პლანზე.

გარდა ამისა, განსაკუთრებული სიმკვეთრით მეორე შემთხვევაში, ქვრივი ქალის საქმიანობა გამოიყოფა.

მისი გადაწყვეტილება თავდადებული მუშაობის შესახებ და

მისი დაცემაც.

ესენი A..... რეპროდუქციის შინაარსში ან სრულიად არ მოიპოვებიან /დროს მითითება მაგალითად/, ან მეტად მკრთალად ჩანან.

ერთი სიტყვით, მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში მოთხრობის ქარგა ლოგიკურად ღონიერდება. ჩანს, ობიექტიურობა იმატებს: ობიექტი, სინამდვილე მეტის მასშტაბით შემოდის მოთხრობაში.

საინტერესოა, რომ მეორე მიმართულებით სრულიად იცვლება მდგომარეობა : მეორე მიმართულება ხომ ემოციონალური შინაარსებში ვლინდება.

ეს ემოციონალური შინაარსები ამ დროს საგრძნობლად იკლებს.

---

მიწნს მიხედვით, ეს ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი მომენტებია.

ჩვენი ცდების მიხედვით .B. რეპროდუქციაში ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი, თუ იგი არ შედის ლოგიკურად მნიშვნელოვანის ფარგლებში, იჩრდილება და მხოლოდ ლოგიკურად მნიშვნელოვანს უთმობს ადგილს.

ჩვენი თქმის მიხედვით, ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანს წარმოადგენს მაგალითად ასეთი მომენტი ჩვენს მოთხრობაში:

"ვერც დედა შველოდა შვილს და ვერც შვილი შველობა დედას".

მეორე რეპროდუქციაში ამის მსგავსიც კი აღარაფერი მოიპოვება.

ეს მომენტი ამოვარდა სულ .B... რეპროდუქციის შინაარსიდან. .A.. რეპროდუქციაში სწორედ ასეთი მომენტია ჭარბად.

ასეთი მომენტები აქ განსაკუთრებული ცემპით გამოაქვს ცნობიერებაში მეხსიერებას.

მეორეში კი - სრულიად ქრებიან ისინი.

---

მთაბეჭდილება, გარკვეულად, ასეთი რჩება: პირვე-ლად-სუბიექტი საკუთარი დამოკიდებულებებით სდგას ჩვენს წინაშე. <u>მეორედ</u>, პირიქით, მისი საგნისადმი დამოკიდებულების ნაცვლად, ობიექტის ამსახველი მო-მენტები სდგებიან წინა პლანზე.

აქ ობიექტის ისეთ მომენტებს უთმობა ადგილი ფართოდ, რომლებშიც მისი ესენციალური მხარეებია ასახული.

სხვა მომენტები კი - არა ესენციალური მომენტე-ბი, მნიშვნელობას ჰკარგავენ და ესენციალურ ნიშანთა გვერდით, აღარ მოიპოებიან.

ფსიქოლოგიური მომენტები, რომლებიც პირველი რეპროდუქციის პროცესში იჩენენ თავს, შემდეგ, როგორც ითქვა, ჰქრებიან.

ასე რომ პირველი რეპროდუქციის დროს გამოვლენილ რეალური შინაარსებიდანაც, ნაწილი იკარგება.

მეორე რეპროდუქციაში ისინი აღარ არიან. სამაგი-ეროდ აქ მოთხრობის ლოგიკური ქარგა ფართოვდება.

.B. რეპროდუქცია გვიჩვენებს, რომ თვით ის ძირითადი ნასკვებიც, რომელთა საფუძველზე პირველი რეპროდუქციის აქტში ახალი ნაგებობა ყალიბდება, მი-

---

ნაკანს ტრანსფორმაციის წანიცის.

აქ, .B.. რეპროდუქციის შემთხვევაში, მაშასადამე, .A... რეპროდუქციაში მოცემულ რეალურ ელემენტების სწორხაზოვანი გაფართოება არ ხდება.

ასე რომ იყოს მაშინ ობიექტური შინაარსის პირველადი აღდგენის მონაცემები უკლებლივ უნდა შემონარჩუნებულიყო და მას ახალი მომენტები შემომატებოდა.

ეს ასე არ ხდება: .B. რეპროდუქციის აქტში სრულიად ახალი პროცესი იშლება ჩვენს წინაშე.

ასე რომ დედანის აღქმის სიტუაცია.

.A.. რეპროდუქციის სიტუაცია და .B.. რეპროდუქციის სიტუაცია, სრულიად ახალ ახალი სიტუაციებია და შესაფერს ახალ ახალ ფსიქიურ ქმედებებს იძლევიან.

თვითეულს ამ განსხვავებულ სიტუაციათაგანში სრულიად განსხვავებული პროცესი იშლება ხოლმე ჩვენს წინაშე.

ამ დებულების სისწორეს ვერ არღვევს ზოგიერთი გამონაკლის, რომლებიც ჩვენს ცდებში [illegible] შეგვხვედრია.

ასეთ გამონაკლისებს ჩვენს ცდებში აქვს აქა-იქ ადგილი.

---

ზოგ შემთხვევაში შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ თითქოს ..B.. რეპროდუქცია მართლაც პირდაპირ აგრძელებს..A....რეპროდუქციას.

მოვიყვან ცდას, ამის მაჩვენებელს.:

მაგ. ც.პ. ფრ. კ. /7 წლ./ ..A...რეპროდუქციის შედეგი:

"იყო ერთი დედა და შვილი . ამათ ქმარი მოეკლათ.

მერე ბავშვი ყოველთვის ხშირად ა ვად ხდებოდა. — ქალი არ უშვებდა რომ ბავშვს ქალის საქმე არ ემუშავნა. მძიმე ავად გახდა და სამუდამოდ ლოგინად ჩაწვა. ბავშვი ავად გახდა. დედისათვის [illegible] ემუშავნა არ შეეძლო. არც შვილს შეეძლო დედისათვის ემუშავნა."

ასეთია ცდის პირის მონაცემი პირველად, მოთხრობის მოსმენისთანავე.

..B.....რეპროდუქციის შედეგი:

" იყო ერთ ღროში დედა და შვილი. ეს ქალი სახლში ცოტაოდენი კერვა იცოდა. ბავშვი ა ვადმყოფი იყო. დედა კერავდა და თ ვითონ იკვებებოდნენ. მაგრამ სხვებზე ძალიან მაინც არ იცოდა.

---

ამ მიდგა სამუშაოს: სთესავდა, ხნავდა და ამით შრომობდა. სოფელი ამბობდა ამ ქალს რამე მოუვაო. ქალების ნათქვამი მართალი გამოდგა. ქალი დაეცა. შიგნი დაწვა. ბავშვიც ამ თახში ორი ავადმყოფია: დედა და შვილი. [illegible] ბავშვს უნდოდა ეშველა მაგრამ ვერ მოახერხა".

თუ შევადარებთ ამას და ამის წინამორბედ მონაცემს, დავინახავთ:

1. ამაში გადმოვიდა პირველიდან მთელი შინაარსი.

2. დაემატა დედანიდან ზოგი ელემენტი.

ასე რომ შთაბეჭდილება რჩება ერთგვარი გაფართოებისა ამ მეორე შემთხვევაში.

ოღონდ ასე: პირველს რეპროდუქციაში არ მოხდა მთლიანი მანიფესტაცია ცნობიერებაში აღბეჭდილ შინაარსისა. თითქოს საჭირო შეიქნა დრო, ხანი, რომ ამ შემონახულს ელემენტებს ძალა შეჰმატებოდათ. შიგნიდან გაძლიერებულ [illegible] იყვნენ, რომ ამრიგად, მეორე რეპროდუქციის პროცესში დღის სინათლეზე გამოსულიყვნენ.

ასეთია ერთეული შემთხვევები ჩვენს ცდებში. ეს ცდები მკვეთრად ეწინააღმდეგებიან დანარჩენი ცდების მონაცემებს.

ამგვარი მასალის მიხედვით სრულიად სხვანაირი

---------------------------

შთაბეჭდილება იქმნება ე.წ. მნემური პროცესების პირველი ფაზის შესახებ, ვიდრე შთაბეჭდილება, რომელიც ზემოთ მოყვანილ მასალათა ნიადაგზე მჟღავდება.

რამდენადაც, მაინც, ესენი გამონაკლისს წარმოადგენენ და მასიურ ცდებში იჩრდილებიან, აქ მათი ანალიზის ცდას აღარ შევუდგები და გადავალ თვით მასიურ ცდათა მასალებზევე.

× ასეთს მასიურსა და თითქმის საყოველთაო მოვლენას, როგორც აღინიშნა, ცნობილი ტრანსფორმაციის ფენომენი წარმოადგენს.

იგი მოთხრობის მთელი კომპოზიციის შინაარსეულ პერცეფციაში პოულობს თავის გამოვლინებას. ×

აქ ძირეული ცვლილება სახიერდება.

ეს ძირეული ცვლილება იმაშია, რომ ცდის პირი ახალს მთლიანობასა ქმნის, რომელიც არა მარტო ათვისებულ მასალას შეიცავს, არა მარტო ე.წ. რეალურ ელემენტებისაგან შესდგება.

ადექვატურ მასალაზე ზუსტი შეჩერება, როგორც ეს ჩვენს მიერ აქ მოყვანილ გამონაკლისი ცდის შედეგშია, არ ხდება.

არ ხდება შემდეგ მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში ამ ადექვატურ მასალის რეალურს ფარგლებშივე გა-

-------------------------

ფართოება და მხოლოდ ეს.

ჩვეულებრივად ასე ხდება ეს: განმეორებული რეპროდუქციის შედეგი ფორმალური მხრივ /ე. ი. ვერბალურ-რი შემეცნილობის მიხედვით/ ან მეტია, ან ტოლი, ან ნაკლები, ვიდრე პირველი რეპროდუქციის შედეგი.

ოღონდ იმის დამატებით, რომ უფრო გადამეტებით, ერთგვარი შეკვეცის ტენდენცია ადვილად დასანახია ამ მიმართულებით, მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში.

რეალური ელემენტების რაოდენობით კი იგი - მეორე რეპროდუქციის შედეგი - იმატებს.

ამ ნამატის საერთო ტენდენცია ზემოდ გავითვა-ლისწინე.

ეხლა საჭიროა ე.წ. ირრეალური ნამატი გავარჩიოთ, რომელიც ერთგვარს რეალურ ელემენტებთან ერთად მთლია-ნი რეპროდუქციის შინაარსს იძლევა.

რას წარმოადგენს ეს ირრეალური ელემენტი.

ეს ის შინაარსებია, რომლებიც ცდის პირმა თვითონ დაუმატა აღქმულს შინაარსებს:

მათ თავისი როლი აქვსთ მთლიანი რეპროდუქციის პროცესში.

მათი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ძიინი ენაცვ-

-----------------------------------

ლებიან მოთხრობის რეალურ შინაარსებს.

ამ შენაცვლების / замещение/ რეალიზაცია მოთხრობის ე.წ. მეორე ხარისხოვან ხვეულებში ხდება.

თუ ზემოხსენებულ დანაწილებას გავყვებით, მაშინ მოთხრობაში /მოცემულ საექსპერიმენტო მოთხრობაში/ ორი ნაწილი უნდა გავარჩიოთ: ძირითადი და მეორე ხარისხოვანი.

მოთხრობის ძირითად ნაწილში ლოგიკური ნასკვებია, რომლებიც მთლიან მოთხრობის იდეას გამოხატვენ.

მეორეში – მისი გაშლა – გაფართოებაა მოცემული. აქ ეს მეორე ნაწილი აღარ არის სრულიად პირველსავე რეპროდუქციის მონაცემში.

რა მოიპოვება აქ მის მაგიერ?

ამისათვის მრუდს ვექტორ მივმართავთ. ეს მრუდე-ში ვერ იპოვიდა გამოხატულებას ხომ!

მივმართოთ ერთერთი ცდის ოქმს, რომელიც ამ ე.წ. შემნაცვლებელი შინაარსების ტიპიურ დემონსტრაციას შეიცავს.

ც. პ. პედ. ლამარა /7წლ./ = რეპროდუქციის:

"ძველ დროში იყო ერთი ქვეყანა. იქ ცხოვრობდა ერთი

---------------------------

ქალი. იმას მოუკვდა ქმარი. ამ ქალს რომ ბავშვი ყავდა, ხშირად ავადმყოფობდა. კერვა შეეძლო, მაგრამ იმ სოფელში რომ მკერავები იყო, იმათთან ცუდათ ჰქონდა საქმე. ამ ქალმა უფრო მისდია ხვნასა და თესვას ამ ქალმა იფიქრა რომ თავისი შვილი წაეყვანა თბილისში, ხოლოდ ისეთი ვერ შეძლო. როგორც იყო შეძლო მუშაობა. თქვეს ვერ შეძლებს მუშაობასო. ეს მართლა ასრულდა. ქალი ლოგინში ჩაწვა. ამათი საქმე ცუდათ იყო. ვერც შვილი ეხმარებოდა, ვერც დედა. შვილი იმოდენი არ იყო, რომ ემუშავნა და ამათი საქმე ძალიან ცუდათ იყო. ერთხელ როცა მუშაობდა ეს ქალი დაეცა ძირს და მაშინ ჩაწვა ლოგინში.

ქალს შეეძლო კერვა ხოლოდ ისე კარგათ კერავდენ, რომ მაგას ძან ცუდათ ჰქონდა საქმე. ვაჟი ხშირ-ხშირად ავადმყოფობდა. ეს ქალი მწუხარობდა. რამდენად უფრო გაიზარდა, იმოდენი ბევრი ჭამა მოუნდა. პაცარას უფრო ცოტა კვება უნდა. დედამ დღე და ღამე იმუშავა, იქნებ ასეთი რამ გამოუძებნო, რომ შვილი კარგათ გამოვკვებოვო.

როცა ჩაწვა, შვილი უფრო ცუდათ შეიქნა. ამ ოჯახის საქმე ძალიან ცუდათ იყო.

ერთ ოჯახში ჩყო ორი ავადმყოფი".

---

## . B.. რეპროდუქციის შედეგი:

"ძველ დროში იყო ერთი სოფელი. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ქალი. ამ ქალს ქმარი მოუკვდა და ქალი დაქვრივდა. ამ ქალს ყავდა ერთი შვილი, რომელიც მუდამ ავადმყოფობდა. ქალმა იცოდა კერვა. მხოლოდ ამ სოფელში იყვნენ ისეთი მკერავები, რომ მასთან საქმე მისი ძლიერ ცუდათ იყო.

ქალმა იფიქრა: მოდი თბილისში წავიყვანო ბავშვი. მხოლოდ მაგის საშუალება არ ქონდა. ქალმა იფიქრა: მოდი დღე და ღამე ვიმუშავებო და მართლაც ასე მოხდა. ერთხელ ქალი მუშაობდა და იგი უცებ ძირს დაეცა. და ერთს ოჯახში ორი ავადმყოფი შეიქნა. ბავშვს უფრო გაუძლიერდა ავადმყოფობა და ვეღარც დედა შვილს და ვერც შვილი დედას. ქალმა იფიქრა: მოდი ბავშვს თბილისში წავიყვანო, მაგრამ ვერ მოახერხა, ბავშვი უფრო გაძლიერდა".

ასეთია მეორე განახლების შემდეგ ჩვენს მიერ მოცემული მოთხრობის შინაარსი.

პირველი ამ მეორესაგან ძლიერ განსხვავდება. პირველი უფრო ვრცელია, მას დიდი გასაქანი აქვს.

---

ე.წ. ფორმალური მხრივ მისი განსხვავება ამ მეორე რეპროდუქციის შედეგისაგან სრულიად ნათელია.

სამაგიეროდ აზრითი ელემენტებით ეს მეორე მოთხრობა სჭარბობს. ის, რაც პირველი რეპროდუქციის შინაარსში მეტს ფორმალურ მონაცემს წარმოადგენს, ახალს შინაარსს არ შეიცავს. ესენი იმავე მოთხრობის შიგნი მოთავსებულ შინაარსების განმეორებანია.

თუმცა, როგორც აქ ნათლად ჩანს, ეს განმეორებული შინაარსები რაიმე წესზომიერების მიხედვით არ მისდევენ ერთიერთს.

ე.წ. ინტერკალური შინაარსი, რომელიც, ჩვენი ტერმინით, შემცველ შინაარსს წარმოადგენს, ამ ადგილზე, უკვე მოყვანილი შინაარსების ლიტონ განმეორებას წარმოადგენს.

აქ იმ შინაარსებს, რომლებიც რეალური მოთხრობის ე.წ. მეორე ხარისხოვან ხვეულებშია ჩვენი გამოთქმით, და მოთხრობის ძირითადი იდეის გაშლა - გამოხატულებას წარმოადგენენ, ეს განმეორებული ენაცვლებიან.

სხვა მასალებში ნაცვლად ამ განმეორებებისა, ახალ შინაარსებს ვხვდებით, რომლებიც თვით ლეგენდის რომელიმე ნაწილის ან აზრის სხვა სიტყვებში გამოხატვას კი არ წარმოადგენენ; არამედ - სრულიად ახალს რაღაცას.

მართალია ამ ახალ შინაარსებს რაღაც ნათესაობა

---------------------------

გააზრიათ დედანის ე.წ. მეორე ხარისხოვან მომენტებთან, მაგრამ მაინც სრულიად სხვანი არიან როგორც.
ჩვენ ამის მიხედვით პირდაპირ შეგვიძლია გავსცეთ პასუხი ზემოდასმულ კითხვას:

ირრეალური შინაარსი, რომელიც დაერთვის ე.წ. ძირითად ლოგიკურს ნაწყვეტს, ის მასალაა, რომელიც თვითონ ცდის პირს შეაქვს მოთხრობაში.

მაშასადამე მომაცება, რომელსაც რეალური შინაარსი განიცდის, რეპროდუქციის განმეორების დროს, ამათ ხარჯზე მიმდინარეობს.

ამ რიგად,
როცა ცდის პირი პირველად უდგება განახლების პროცესს, იგი თანახმად მოყვანილი ფაქტებისა, შემდეგს ელემენტებს ემყარება: ლოგიკური ნაწყვეტები, ემოციური მომენტები [illegible] და ე.წ. ირრეალური შინაარსი.

განმეორებული რეპროდუქციის დროს ამ კომპლექსურ განცდაში ძირეული ცვლილება ხდება:

1. ლოგიკური შინაარსი ფართოვდება
2. ემოციური მომენტები იზრდილებიან
3. ირრაციონალური მომენტები მცირდებიან.

აქ ჩვენ შეგვიძლია ჩვენს მიერ მოხსენებული ებინგ-ჰაუსის მრუდე მოვიგონოთ.

---

დროს მართლა მიაქვს იერიში მასალაზე მეხსიერების პირველს სტადიაზე, მაგრამ ეს რეალური მასალის მიმართ, არამედ იმ ზედმეტი მასალის მიმართ, რომელიც სუბიექტმა შეცდომით შეიტანა მოთხრობაში.

ამით შეიძლება მოსრულდეს ჩვენი პრობლემის ირგვლივ დაგროვილ ცდითი მასალის განხილვა.

ჩვენი პრობლემა ორს მოთხოვნილებას გვიყენებს: ე. წ. პარადოქსალური გამოვლენების დადასტურებას მეხსიერების პირველს ფაზაში და ამ ფაქტის ახსნას.

პირველი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულად უნდა იქნეს მიჩნეული: ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემის საფუძველზე ნათელია, რომ ონტოგენეტურ განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ამ შემთხვევაში სკოლის წინარე ჰასაკის პერიოდში, ~~მეხსიერების~~ პირველი ფაზა ნაცვლად ტრადიციულად მიჩნეული დაკლებისა, აღმატებას გვიჩვენებს.

ჩვენი მასალის მიხედვით სრულიად ნათელია, რომ ტრადიციულ შეხედულებებში, მეხსიერების მუშაობის შესახებ, შესწორება უნდა იქნეს შეტანილი და დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ დაბალ საფეხურზე განვითარებისა, ადამიანის მეხსიერების პირველ ფაზაში აღბეჭდილ შინაარსებში

---

ნაცვლად დაკლებისა, აღმატება მიმდინარეობს.

ეს ფაქტი ზემომოყვანილ მასალის საფუძველზე, დადასტურებულია.

როგორ უნდა აიხსნას იგი?

როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეხსიერების პირველ ფაზაში, "მეხსიერების გამოვლინება" არა ჩანს, რამდენადაც, როგორც თავშივე აღნიშნა, მეხსიერების განუყრელი ფუნქცია დავიწყებაა და მაშასადამე აღქმული მასალის დაკლება და არა აღმატება.

რამდენადაც ჩვენი საკითხის კვლევა მხოლოდ დაწყებითი სტადიაშია, იმდენად მხოლოდ ამ მასალის დემონსტრაციითაც საკმაო ნამდვილი საბუთი იქნებოდა [illegible] მელი, თუ დადასტურდებოდა, რომ იგი უნაკლო გზითაა შეგროვილი.

მეხსიერების კვლევისათვის ფაქტების დაგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ხანაში.

როგორც ერთერთი მკვლევარი აღნიშნავს/ბლონსკი/, პრობლემა მეხსიერების შესახებ ისევე ძველია, როგორც მეცნიერება ადამიანის ფსიქიური ცხოვრების შესახებ, ე.ი. ფსიქოლოგია.

---------------------------

მიუხედავად ამისა, სწორედ მიზეზი იმისა, რომ იგი განსაკუთრებით ჩვენს დროში ხდება ნათელი, მიზეზი იმისა, რომ სრულიად მოკლე დროში ხდება ძველი შეხედულებების თავდაყირა დაყენება, მიეწერება იმას, რომ ექსპერიმენტული მასალა, ამ ფუნქციის შესწავლის გარშემო, უხვად გროვდება.

სწორედ ამის გამო თანდათან ირღვევა ძველი შეხედულება მეხსიერების, როგორც სხვა ფუნქციებიდან სრულიად გამოყოფილი ფუნქციის შესახებ, და დგინდება ახალი კონცეპცია, რომლის მიხედვით მეხსიერების მუშაობა ერთის მხრივ აღქმის ფუნქციაში შემოდის, ხოლო მეორე და უმთავრესი მხრივ, კი, - აზროვნების ფუნქციაში.

კიდევ მეტი, სწორედ ამ ფაქტიური მასალის საფუძველზე თანდათან გზას იკაფავს აზრი, რომლის მიხედვითაც მეხსიერების საკითხი სცილდება ვიწროდ აღებულ ერთი ფუნქციის გარშემო გაშლილი კვლევითი მუშაობის ფარგლებს.

იგი თანდათან მეთოდოლოგიური მნიშვნელობის საკითხად იქცევა.

---

ამის მიხედვით მეხსიერების ცნებაც ფართოვდება. მისი შესწავლის დროს არა მარტო რომელიმე მისი მოსაზღვრე ფუნქცია, არამედ ყველა ფუნქციები უნდა განვიხილოთ, და რადგან ეს უკვე პიროვნების ცნებას გულისხმობს, ამიტომ ადამიანი, როგორც განუყოფელი არსი, წინა პლანზე უნდა წამოვაყენოთ და ამ კონტექსტში შევუდგეთ მეხსიერების შესწავლას.

ჩვენ მხოლოდ მაშინ გაგვეხსნება გზა მეხსიერების ცალკე გამოვლინებათა ნამდვილი შესწავლისაკენ. ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ, რას წარმოადგენს ის, რასაც ჰქვია: <u>ა დ ა მ ი ა ნ ი ს</u> მეხსიერება /ვიგოდსკი/.

მაგრამ ეს, როგორც ითქვა, ცალკეული საკითხების შესახებ ესრული რაოდენობის ფაქტიურ მასალათა დაგროვებას გულისხმობს წინასწარ.

ასე რომ შეიძლებოდა, ჩვენი მიზანი ამ მასალის მოყვანით შემოგვეფარგლა და მისი ინტერპრეტაცია ამ უფრო ფართო პერსპექტივის პრობლემათა გარშემო მუშაობის დაწყებამდე გადაგვედო.

მაგრამ როგორც თავიდანვე ითქვა, ამ საკითხის

---

გარშემო არა მარტო მასალის კრიტიკაა დაწყებული, არამედ ზოგიერთი ჰიპოთეტური მოსაზრებაცაა მის ასახსნელად წამოყენებული. სანამ საკუთარ მოსაზრებების გათვალისწინებაზე გადავიდოდეთ, მათზე შევჩერდებით მოკლედ.

მოსაზრებანი მეხსიერების ე.წ. პარადოქსული გამოვლინების შესახებ.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია ზოგი ცდა ჩვენი საკითხის გარშემო ჩატარებული ცდების ახსნისა.

ერთნი /მაგ. ზიგვენ[illegible]ი, მილლერი/ მხოლოდ აღწერენ ამ ფაქტებს, თვლიან მას მეხსიერების გამოვლინებად და მხოლოდ განცვიფრებას გამოსთქვამენ მის შესახებ.

ასე რომ ახსნა არც აქვთ მათ ამ მოვლენისა მოცემული.

სწორედ მათ მიეწერებათ ამ ჩვენი ფენომენის პარადოქსად აღიარება.

მეორენი /მათი საერთო შეხედულების გამოხატულებათ რუბინშტეინის მიერ მისსავე სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენენ/, შემდეგნაირად ხსნიან მას.

მათი აზრით, დავიწყების პროცესი დროს ერთმნიშვნელოვან ფუნქციას არ წარმოადგენს, ე.ი. დავიწყების

-------------------------

მიმდინარეობა არ არის მხოლოდ ერის მიმდინარეობაზე, და მხოლოდ ამაზე დამოკიდებული.

ეს შეხედულება – რომ ახლავე შევაფასეთ იგი სავ-სებით სწორია და იგი საერთოდ გავრცელებულ შეხე-დულებას წარმოადგენს ~~სრულიად კანონიერად~~.

მთავარი ისაა, თუ რა ფაქტორებზეა კიდევ დავიწყების მიმდინარეობა დამოკიდებული.

კერძოთ რა ფაქტორები თამაშობს როლს იმ პრო-ცესების მიმდინარეობაში, რომლებსაც მეხსიერების ე.წ. პარადოქსალური გამოვლინების სახელწოდებით აღნიშნავენ.

რუბინშტეინი ამას ასე უპასუხებს:

განახლებისა და დავიწყების პროცესის მიმდი-ნარეობა დამოკიდებულია აგრეთვე მასალის გააზრები-საკენ მიმართულ ინტელექტუალური პროცესის მსვლელობა-ზე: "..разрушительной власти времени не в равной мере подвержены процессы воспроизведения различной интеллектуальной природы"

აქედან ცხადია, რომ მეხსიერების ნამატი პირველს მის ფაზაში მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას: მასალა

---

მთლიანად არ იყო გააზრებული მისი აღქმის დროს.

ამის მიხედვით, როცა ცდის პირი ისეთია, რომ მოსმენილი მოთხრობის შინაარსის აბსოლუტურ გააზრებას ვერ ახერხებს, მაშინ იგი მას მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს.

იმის გამო, რომ დანარჩენი ნაწილი გაუგებარი დარჩა, პირველი მთლიანი მოსმენის მიუხედავად, მოთხრობის ამ ნაწილების გააზრების პროცესი გრძელდება და მეორე აღდგენის შემთხვევაში იგი დამატებითი მასალის სახით გამოვლინდება.

ამ ფაქტების მიზეზით – ამბობს ავტორი, ნამატი მასალის გამოვლინების შესახებ – უნდა ვიფიქროთ, მდგომარეობს იმაში, რომ განახლების პროცესი გულისხმობს და შეიცავს მასალის გარშემო გააზრებისა და მისი შინაგანი დაუფლების მიმართ მუშაობას.

განახლება უფრო სრულია მაშინ, თუ მუშაობა მასალის გააზრებისა და მისი გონებრივი დაუფლებისა, დასრულებულია.

ამიტომ იგი პირველ ფაზაში მეხსიერებაში იმალება, და მხოლოდ შემდეგ იწყება მისი დაქვეითება.

ამიტომ ერთსა და იმავე მასალის უფრო სრულ აღდგენას ბავშვები უფრო გვიან ახერხებენ, ვიდრე უფროსები,

---------------------------

უმცროსი ბავშვები უფრო გვიან, ვიდრე უფროსი ბავშვები, გონება დაქვეითებულნი უფრო გვიან, ვიდრე გონებასაღი ინდივიდები.

სანამ გააზრების პროცესი მიმდინარეობს, განახლებულ მასალის რაოდენობა არ იკლებს. პირიქით, იმატებს. ყოველშემთხვევაში - იმეორებს ავტორი - ერთა ვითარებაში მეხსიერებაში ახლდებიან ხოლმე ზოგიერთი ელემენტები, რომელთა აღდგენა ვერ მოხერხდა პირველად.

პირველ ყოვლისა უნდა გაირკვეს ეს შეხედულებანი ჩვენი მასალის მიხედვით.

ჩვენს მიერ ზემოდასახელებულ ექსპერიმენტული მასალა ეწინააღმდეგება ამას.

გაცნობიერების პროცესი რომ იყოს მიზეზი ამ მოვლენისა, მაშინ არ გვექნებოდა საქმე სიტუაციათა სხვადასხვაობასთან. ე.ი. ჩვენს მიერ დასახელებულ ნაკვეთობათა სხვადასხვაობას თვითეულ ცალკე შემთხვევათაგანში - მოთხრობის მოსმენის დროს, პირველი აღდგენის დროს, მეორე აღდგენის დროს - ადგილი აღარ ექნებოდა. მაშინ გვექნებოდა მასიური მოვლენის სახით სწორედ ისეთი შედეგები, რომლებიც მხოლოდ ერთეული გამონაკლისის სახით ვიხილეთ ზემოთ:

---

ჯერ მხოლოდ ნაწილობრივი რეხდაერაციაა და შემდეგ კი ზუსტი ნამაცის სახით ამასთან.

ამას მკაცრად ეწინააღმდეგება ჩვენი ე.წ. დისპროპორციაც ფორმალურს მონაცემსა და რეალურ ელემენტთა ერთიერთობის სფეროდან.

გაცნობიერების პროცესი შემდეგნაირად და მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

მთელი მოთხრობა ასახულია ცნობიერებაში. ოღონდ ასე: მას ამ სახით ორი მხარე აქვს. ერთი გაგებულია, ინტელექტუალური მუშაობა მასზე ჩატარებულია. მეორე არაა ჯერ გაგებული.

პირველი რეპროდუქციის შემთხვევაში სწორედ ეს ნაწილი გამოდის მზის სინათლეზე: ის ნაწილი, რომელიც ინტელექტის მიერ დამუშავებულია.

იგი გააზრებულია ცდის პირის მიერ.

დანარჩენი ნაწილი იმის გამო რომ გაუგებარია, მეტყველებაში ვერ პოულობს გამოხატულებას, მაგრამ ცნობიერებაში კი რჩება როგორღაც.

რატომ არ ავიწყდება იგი ცდის პირს?

ალბათ იმიტომ, რომ ცნობიერება, იმის გამო რომ იგი ჯერ იქვე დაუმუშავებულია, განაგრძობს

-------------------------------

მის გარშემო მუშაობას.

მაგრამ ამას ის ფაქტი ეწინააღმდეგება, რომ ჩვენმა ცდის პირებმა არ იციან, რომ მათ ჩვენ ხელმეორედ შევეკითხებით.

მაშასადამე განზრახვა, როგორც ფაქტორი შენარჩუნების, მოხსნილია.

მაშინ რით უნდა აიხსნას მათ გარშემო მუშაობის გაგრძელება.

თუ იმით, რომ თვით ამგვარს სტრუქტურაში, თვითონ ამ ფაქტში, რომ ნაწილი გაკეთებულია, ნაწილი გაუკეთებელი – თუ ამ ფაქტში მარხია სტიმული ცნობიერების მუშაობის გაგრძელებისა, მაშინ ეს მომენტი მოითხოვს სწორედ განსაკუთრებულ გათვალისწინებას.

გარეშე ამისა ლივონ განცხადებით რჩება. გაცნობიერების პროცესის ჩვენი ფენომენის მიზეზად აღიარება.

გაცნობიერება ერთი ცნებაა, რომელშიდაც მრავალი სხვადასხვა გვარად წარმოდგენილი პროცესი შეიძლება იქნეს ნაგულისხმევი.

<u>მეხსიერების პირველ ფაზაში დაუსრულებელ ფაქტების ახსნა.</u>

-------------------

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული თეორიები არც ჩვენს მიერ დადასტურებული ფაქტების ასახსნელად გამოდგება და არც იმ ფაქტების, რომლებიც სხვებმაც დაადასტურეს.

(ეს თეორიები ამ ფაქტებს ვერ უწევენ ანგარიშს. ისინი არა დამაკმაყოფილებლად ხსნიან ანალოგიურს ფაქტებს)

ერთი ფსიქოლოგი, ითვალისწინებს რა სისრულით ამ ექსპერიმენტულ შედეგებს, რომლებიც ჩვენი საკით-ხის შესახებაა უკვე დაგროვილი, მეტად დაწვრილებით ჩერდება იმ თეორიების გარჩევაზე, რომლებიც სხვადა-სხვა მეცნიერმა ამ ექსპერიმენტული შედეგების ასახ- სენად წამოაყენა.

ის ყველა ფაქტების განხილვისა და ამ თეორიების კრიტიკული გარჩევის შემდეგ მოკლედ ასკვნის: მეხსიერებას ამ ფაზაში მართლაც იშვიათი ფენომენები იჩენენ თავს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ არც ფაქტებია ამ ფენომენების უფრო ნათლად გათვალისწი-ნებისათვის საკმაოდ დაგროვილი, და მათი ახსნის მიზნით შემუშავებული თეორიები ხომ სრული უმწეობის შთაბეჭდილე-ბას სტოვებენ.

---

მართლაც რომ აბსოლუტური ცილაჯობის შთაბეჭდილე-ბა გვრჩება, როცა დაკვირვებით ვეცნობით ამ ფენომე-ნების ამხსნის ცდებს.

სანიმუშოდ ზემოხსენებული [illegible] /რებინ-შტეინის) [illegible]/ შეიძლება დავასახელოთ.

მისი შეწყნარება სრულიად შეუძლებელია.

ყოველი თეორია ფაქტებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

თეორია, რომელიც ვერ ეგუება ფაქტებს,რომელიც ემიჯნება მათ და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თითქოს იგი ცალკეა და ფაქტები ცალკე,არაა საღი თეორია.

სწორედ ასეთია ის თეორია, რომელიც სახელდა-ხელოთ ჩვენ ზევით დავასახელეთ და რომელიც ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ექსპერიმენტულ ფაქტების ახსნასა ლამობს.

ჩვენის აზრით ჩვენს მიერ დადასტურებული ფაქტები მეხსიერების ე.წ. პარადოქსული გამოვლინების შე-სახებ, შინაგანი თანამიმდევრობით წარმართავს აზრს განწყობის ცნებისაკენ.

საკმაოდ ჩვენი ფაქტები მთელს მათს ერთობლიობა-

---

ში განვჭვრიტოთ, რომ უმალ ჩვენში ამ ფაქტების განწყობის ნიადაგზე გათვალისწინების აუცილებლობა ვიგრძნოთ.

თუ სწორია დებულება, რომლის მიხედვითაც ყოველი თეორია იმდენად არის დამაჯერებელი, რამდენადაც იგი თვით ფაქტების ზერელე გათვალისწინებაშიაც იგრძნობა როგორც, მაშინ ყველაზე დამაჯერებელი სწორედ რომ განწყობის თეორიაა ამ ფაქტების ახსნის საქმეში.

ამ ფაქტების არამც თუ ერთობლიობაში ჭვრეტა, არამედ - თვითეულისა ცალ-ცალკეც, სრულიად დამოუკიდებლადაც ავტონომიურად წარმართავს ჩვენს აზრს განწყობის კონცეპციისკენ.

სანამ ამ კონცეპციის ნიადაგზე ჩვენი ფაქტების განხილვას შევუდგებოდე, ხაზი უნდა გავუსვა შემდეგ გარემოებას.

შეიძლება თუ არა ჩემს მიერ დასახელებულ ექსპერიმენტულ სიტუაციაში - მოთხრობის მიწოდების შემთხვევაში - განწყობის წარმოშვების შესაძლებლობის შესახებ ვილაპარაკოთ.

ამგვარად ამ კონტექსტში საკითხის დასმას თავისი ..raison d'être.......-ი აქვს.

---------------------------

საქმე ისაა, რომ განწყობის ცნება სრულიად ახალი ცნებაა შედარებით და ამ ცნების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ყველასათვის სავალდებულო განმარტება.

ამ შემთხვევაში ძნელი ხდება იმის ნათელყოფა თუ რამდენად შეიძლება ეს ცნება ამა თუ იმ კონკრეტ შემთხვევაზეც გავავრცელოთ.

ამიტომაა რომ შეიძლება მოვნახოთ ლიტერატურაში მოსაზრება, რომლის მიხედვითაც განწყობის ცნება ვიწრო გაგებით უნდა შემოიფარგლოს.

თითქოს იგი მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციაშია მოსალოდნელი და არა საერთოდ, უნივერსალურად. რომ მას ეს უნივერსალობა არა მარტო გრძნობითი სფეროების მიხედვით არ ახასიათებს, არამედ ამ სფეროებზე მომქმედ გამღიზიანებელთა მიხედვითაც.

ვინც განწყობის ამ გაგებას ეცნობა, რომელიც ქართულ ფსიქოლოგიაში მრავალგზისი ექსპერიმენტული მუშაობის შედეგადაა შემუშავებული, რწმუნდება, რომ განწყობას ასეთი შემოფარგვლა არ ახასიათებს.

რომ მას ამ თვალსაზრისით სწორედ რომ უნივერსალობა ახასიათებს.

---

მართალია განწყობის შემუშავება ექსპერიმენტულ პირობებში ე.წ. თვალსაჩინოდ მიცემულ მასალაზეა ნაცადი.

ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ამით განისაზღვრება უმთავრესად.

მიუხედავად ამისა უკვე ამ ცდების მიხედვითაც ნათელია, რომ სუბიექტის ე.წ. მთლიანი მოდიფიკაცია კონკრეტ შენაარსებით არაა პირობადებული.

ასე რომ მთხრობა, რომელიც ადამიანის მეტყველებით გამოიხატება, განწყობის შემუშავების შესაძლებლობის თვალსაზრისით გამონაკლისს სრულიად არ წარმოადგენს.

ადამიანის [illegible] მთელი ის სინამდვილე, რომლის უშუალო ზემოქმედებ ის შედეგად ფორმიანდება ყოველ ჩვენთაგანში ასეთი თუ ისეთი განწყობა, სწორედ რომ ადამიანის მეტყველებაშია ასახული.

ცხადია მეტყველებაც განწყობის შემუშავების სიტუაციას წარმოადგენს.

ერთი სიტყვით საკითხი განწყობის წარმოშვების

---

შესაძლებლობისა ჩვენს ექსპერიმენტულ სიტუაციაში, ამ მოსაზრებათა მიხედვით, [illegible] უნდა ჩაითვალოს.

ერთხელ კიდევ ჩამოვთვლი მათ.

როცა ცდის პირი ჩვენს მიერ მიცემულ მოთხრობის აღდგენას იწყებს, ორს ერთიერთისგან განსხვავებულ შედეგს იძლევა.

ერთი მოთხრობის სრულ გადმოცემაში მდგომარეობს, მეორე მიწოდებულ მოთხრობიდან აქა იქ ამოგლეჯილ სიტყვათა გამეორებაში.

მოთხრობის სისრულე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი თავიდან ბოლომდე მიწოდებულ მოთხრობის აღდგენას წარმოადგენდეს, არამედ იმაში, რომ იგი მთლიანი მოთხრობაა მაინც და არა პირველად მიცემულ მოთხრობიდან შემორჩენილ ამა თუ იმ წინადადებათა შეკოწიწება. ასეთივე მთლიანობა ახასიათებს იმ მოთხრობას, რომელსაც იგივე ცდის პირები მოთხრობის მეორეჯერ აღდგენის შემთხვევაში აყალიბებენ.

პირველი აღდგენის შედეგი, პირველ შემთხვევაში, განსხვავდება თავისი აღნაგობით იმ შედეგიდან, რომელიც მეორე აღდგენის შემთხვევაში გვეძლევა. ასე რომ მათ შორის მსგავსებაა მთლიანობის თვალსაზრისით:

პირველადაც და მეორედაც მთლიანი რეპროდუქციის მო-წამენი ვხვდებით, მაგრამ განსხვავებაც დიდია მათ შო-რის და ეს განსხვავება მათ შინაარსეულ მომენტებს ეხება.

სრულიად განსაკუთრებული ბუნებისაა აღდგენის პროცესი მეორე შემთხვევაში, ე.ი. გამოუყენებელ რეპ-როდუქციის შემთხვევაში, როგორც ამას ზემოთ ჩვენ ვუწოდეთ.

აქ სიტყვათა კომპლექსი, რომელიც პირველადვე წარმოიშვა, მეორე რეპროდუქციის შემთხვევაშიც ყოვ-ლად გვეძლევა შინაარსეული თვალსაზრისით. ოღონდ მკაფიოდ ემჩნევა ამ კომპლექსის რაოდენობრივი შეკვე-ცა.

რაოდენობის მიხედვით, მეორე რეპროდუქციის შემთ-ხვევაში, ეს კომპლექსი მკვეთრად ეცემა.

მაშასადამე სიტყვები აბსოლუტურად იგივეა, ოღონდ ყველანი აღარ სჩანან მეორე შემთხვევაში.

აქ ზოგიერთს ვხვდებით, მხოლოდ, მათგანს ხშირად მათი რაოდენობა ნულამდე აღწევს ამ მეორე აღდგენის ცდაში.

პირველი მთლიანი რეპროდუქციისა და მეორე

---

მთლიანი რეპროდუქციის ურთიერთობაში, დამატებით, შემდეგი მომენტებია აღსანიშნავი.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მთლიანი ნაკეთობანი თავისი მთლიანი მოხაზულობით ერთმანეთს გვანან, შინაარსეულად იდენტური არ არიან. აქ ისე კი არ ხდება, რომ პირველად მთლიანი მოთხრობა სრულიად გარკვეული აგებულების იყოს: ქონდეს თავისი დასაწყისი, განვითარება და დამთავრება ისე, რომ ყველაფერი ეს შინაგანი კომპაქტობის მტკიცე სახეობას ქმნიდეს, რომელიც მხოლოდ ამ თავის გარკვეულ ჩარჩოებში იკვეთებოდეს, ან ფართოვდებოდეს მეორე რეპროდუქციის პროცესში.

არამედ სრულიად სხვანაირადაა იგი აგებული პირველად და სრულიად სხვანაირად მეორედ.

თვითეულ ამ რეპროდუქციათაგანს თავისი საკუთარი შინაგანი წყობა აქვს, თვითეული მათგანი ახალი ნაგებობაა.. ~~mutatis mutandis~~.. sui generis.

განსხვავებაა არა მარტო შინაგანი სტრუქტურის მიხედვით, არამედ ფორმალურ მოცულობის მიხედვითაც.

რაც შეეხება სიტყვათა კომპლექსს, რომელიც ე.წ. გამტყუნვებული რეპროდუქციის შედეგად გვეძლევა, იგი უცვლელად მეორდება მთელი თავისი კონსტრუქციით,

------------------------

ოღონდ ერთის განსხვავებით:

მეორე რეპროდუქციის გასაქანზე იგი, ეს სიტყვათა კომპლექსი, რაოდენობით იკლებს.

მაშასადამე მეორე რეპროდუქციის შედეგი აქ პირველისაგან მხოლოდ რიცხობრივად განსხვავდება და ეს განსხვავება რიცხობრივ შემცირებაში ვლინდება.

რაოდენობა სიტყვებისა მეორეთ იკლებს დაუსრულებლივ;

ხშირად იგი ნულამდე აღწევს.

მოთხრობის აღდგენის პირველივე ცდა ხანდახან განსაკუთრებული სახით მიმდინარეობს:

აქ თითქოს ორგვარი რეაქციაა ცდის პირისა გადაჯაჭვულად ურთიერთზე.

საქმე ისაა, რომ როცა იგი მოთხრობის აღდგენას იწყებს, ერთხელაზე სიტყვათა უწესო თანამიმდევრობის გადმოცემას ეძლევა, მაგრამ ხანდახან ამას უცებ თავს ანებებს და მთლიანი მოთხრობის განსახიერებას აღწევს.

რა სახითაც არ უნდა მიმდინარეობდეს ეს მთლიანი რეპროდუქციის პროცესი, ცდის პირის დამოკიდებულება ამ დროს მოთხრობისადმი ორსახოვანია;

რადგან მოთხრობაში გასარჩევია მისი მოცულობითი გასაქანი და აზრობრივი აღნაგობა, დამოკიდებულება მოთხ[illegible] ხოშის ადში ამ ორი მიმართულებით ვლინდება; ცდის პირის მოთხრობისადმი აზრობრივი დამოკიდებულება იმაშია, რომ მოთხრობა გარკვეულ აზრთა კომპლექსს შეიცავს, რომლებიც მოთხრობის ადექვატურ გააზრების შემთხვევაში ერთი რომელიმე ძირითადი იდეის გარშემო იყრიან თავს. ეს ძირითადი იდეა ამ აზრთა კომპლექსებ-შია სწორედ ჩაქსოვილი და ამის გამო მათი თანა-მიმდევრობა გარკვეული მიმართულებით წარმართავს ცდის პირის რეაქციას.

მეორე დამოკიდებულება წმინდა მოცულობითი დამო-კიდებულებაა. იგი მოთხრობის საერთო მოცულობისადმი, მისი საერთო გასაქანისადმი ვლინდება.

მოთხრობის ეს მხარე განსაზღვრული ფაქტორის როლს თამაშობს რეპროდუქციული აქტის განხორციელებაში:

ცდის პირის რეაქცია პირველი მიმართულებით აბსოლუტურ გადმოცემას ამ საერთო გასაქანის ერთგვა-რი ხელმძღვანელობით ახდენს. ცდის პირს მთელს ამ გზაზე ამ ზოგადი მოცულობის რაღაც პერსპექტიული განზომილება გააჩნია, რომლის საფუძველზე პირვე-

--------------------

ლი მიმართულებით წარმართული შეშაოს ნელის თანდა-თანობით მოთხრობის შინაგან სტრუქტურას ასახიერებს.

ასეთი სახელმძღვანელო ფუნქციის ეს მოცულობითი მხარე განსაკუთრებით პირველი რეპროდუქციისა და მეორე რეპროდუქციის ერთიერთობაში ასრულებს.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ მას განსაკუთრებული ადგილი იმ შემთხვევაში ენიჭება, როცა სუბიექტი შედარებით უფრო მეტს სპონტანურს მოქმედებაში იმყოფება.

ამიტომაა რომ განსაკუთრებით მკაფიოდ მისი როლი მეორე რეპროდუქციის პროცესზე პირველი რეპროდუქციის გავლენის გამომჟღავნებაში ჩანს.

მეორე მხრივ მეორე რეპროდუქციაშივე თავს იჩენს სხვა ფაქტორების შემოჭრა, რომლებიც მის ამ პირველად ფუნქციას ერთბაშად შლიან, რადგან ამ მის როლს ეს ახალი ფაქტორები კისრულობენ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა სახიერება აქამდე სწორედ მოცულობითი საერთო ხედის ერთგვარი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

ეხლა მათი შინაგანი გაძლიერების გამო ხდება ემანსიპაცია ამ ფაქტორის ხელმძღვანელობითი ზედგავლენიდან და ამ რიგად ამიერიდან მთლიანი სტრუქტუ-

-------------------------

რირუბა მოთხრობისა სავსებით მათი გარდამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობს.

სულ სხვანაირია სიტუაცია ფრ. აკრეჯაცელი რეპროდუქციის პროცესი ამ მხრივ. ამგვარ შემთხ-ვევაში ცდის პირს არავითარი სახელმძღვანელო ფაქ-ტორი, მსგავსად ეხლახან დასახელებულ მოცულობითი ფაქტორისა, აღარ გააჩნია.

ამრიგად ეს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ფაქ-ტორთა შენაცვლებები მხოლოდ მდიდარი მოთხრობის რეპროდუქციებში გვხვდება.

იმის დამამტკიცებელ გარემოებას, რომ მართლაც ცდის პირის ცნობიერება რეპროდუქციის პროცესში რაღაც დასაყრდენის სახით ამ ზოგადი სივრცითი მოხაზულობის ერთგვარ ზომიერებას შეიცავს, რომ-ლიც შიგნიდან ბძანებლობს რეპროდუქციის შინაარსეულ გაფორმებას, წარმოადგენს შემდეგი სახის შემთხვე-ვები.

ხშირად ცდის პირი რეპროდუქცულ მონაცემებში ლიტონ განმეორებებს ჭრევა. ხდება განმეორება იმავე წინადადებებისა, რომლებიც მოთხრობის გან-საზღვრულ ხვეულებში თავის ადგილას იყო მოთავსებული.

ამათი მერეთ სხვა ადგილებში, /განსაკუთრებით

---------------------------

ბოლო ადგილებში/ განმეორება სრულიად უმიზნო ქმე-
დების შთაბეჭდილებას სტოვებს.

ეს განმეორებები, მიუხედავად ამისა, სპეციალური გამორკვევის მიხედვით, მექანიკურს განმეორებებს არ წარმოადგენს.

ეს წინადადებები არ შეიძლება ჩაითვალოს "ცირკულარული რეაქციების" /შტერნი/ თავისებურ ? რეპროდუქციად [illegible]

მათ ამ რეპროდუქციის პროცესში სრულიად გარკვეული ადგილი უჭირავთ.

ისინი გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ აქ.

ისინი აქ ე.წ. შენაცვლების ფუნქციას ასრულებენ.

ისინი იმ საერთო ზოგადი სივრცითი მოხაზულობის შინაგანი კარნახით, რომელიც როგორც აღნიშნა ალაგ შიგნიდან "ბრძანებლობს" მოთხრობის მიმდინარეობას, ავსებენ მთლიანობას.

მართალია ეს შინაარსეულად ცალიერი, მაგრამ გარკვეული მიმართულებით მაინც ერთგვარი სახელდახელო დასაყრდენი, რომელითაც ხელმძღვანელობს ცდის პირი, როგორც ითქვა მეორე რეპროდუქციის პროცესშიც საზე-

---

ზეა; განსაკუთრებით მისი მდინარეობის პირველს ეტაპზე. მაგრამ ამავე დროს ნათლად ჩანს, რომ მისი როლი მეორე რეპროდუქციის პროცესში თანდათან იკვეცება და ბოლოს სრულიად ქრება. ეს პროცესი მეორე რეპროდუქციის დროს იმ ლოგიკური მომენტების მატების პარალელურად ხდება, რომლებიც აქ სპეციფიური დინამიკით ხასიათდებიან.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ისინი გაძლიერების გამო, გადაეფარენ ამ შინაარსეულად გამოფიტულ დასაყრდენს და დაჩრდილეს იგი.

ამ ფაქტორების ასეთს ურთიერთ დაპირისპირებას თანხლევს მეორე რეპროდუქციის საერთო მოცულობის შეკვეცა.

აქ ჩვენ ვხედავთ რომ საერთო მოცულობა მეორე მოთხრობისა /ე.წ. .B...რეპროდუქციისა/ ხან მეტია, ვიდრე.პირველი, ხან ცოტა, მაგრამ გაბატონებულ ტენდენციათ მაინც დაკლებაში ვლინდება.

ყველა ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ დედანი, პირველი რეპროდუქციის შედეგი, მეორე რეპროდუქციის შედეგი, ერთმანეთისგან ბევრით რითმე განსხვავდებიან.

მიუხედავად ამისა მათ შორის ბევრი რამეაა საერთო:

მიუხედავათ ამისა მათში ბლომად მოიპოვება გა-

-------------------------------

მაერთიანებელი მომენტები.

მათში ყველაზე უფრო უნდა ხაზი გაესვას აზრობრივ შინაარსებს.

ეს აზრობრივი ელემენტები ის ხიდია, რომელიც უწყვეტად აკავშირებს ყველა მათგანს.

ისინი პირველი რეპროდუქციის შედეგში მხოლოდ პარციალურად იჩენენ თავს: პირველი რეპროდუქციის შედეგში-დედანიდან მხოლოდ ნაწილობრივად ვხვდებით გადმოსულ-რეალურ შინაარსებს.

აქ მათი მასშტაბი ძლიერ მცირეა. სამაგიეროდ მეორე რეპროდუქციის პროცესში მისი გასაქანი ერ-ბაშად ფართოვდება.

მეორე რეპროდუქციის შედეგში იგი მეტი რაოდენობითაა მოცემული, და ამდენად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში ხდება დაახლოვება დედანთან ნამდვილი მოთხრობის შინაარსთან.

ასე რომ გამოდის შემდეგნაირად:

პირველი რეპროდუქციის აქტში დედანს ვშორდებით,

მეორე რეპროდუქციის აქტში კი – ხელახლავ ვუახლოვდებით მას.

და ორივეს ურთიერთობას დედანის მიმართ ხაზის

---

სახით გამოვხატავთ, მივიღებთ სპირალს, რომლის თავში დედანია მოთავსებული, მეხლში პირველი რეპროდუქციის შედეგი, ხოლო სპირალის მეორე თავში, მეორე რეპროდუქციის შედეგი.

ამ მასობრივი მოვლენების მეორე რეპროდუქციის პროცესში გამოიყენებს პარალელურად არა მარტო ე.წ. სივრცითი მოხაზულობის ბუნდოვანი დასაყრდენის ფუნქციონალური დაქვეითება სდევს თან, არამედ სწორედ ამ უკანასკნელის პარალელურად ზოგი ისეთი ელემენტის სისტემატური ელიმინაცია [illegible] სდევს თან, რომლებიც ემოციონალური ელემენტების სახელწოდებით შეგვიძლია აღვნიშნოთ.

დედანის შინაარსიდან პირველ რეპროდუქციის შედეგში თავს იჩენს ისეთი ელემენტებიც, რომლებიც მეორე რეპროდუქციის მონაცემში გამოვარდებიან ხოლმე სულ; ისინი აქ აღარ იჩენენ თავს.

ეს ელემენტებია სწორედ ე.წ. ემოციონალური შინაარსის ელემენტები; ისეთი შინაარსები, რომლებიც ყველაზე უფრო მეტი გრძნობითი ტონით არიან აღბეჭდილნი, მაგრამ რომლებსაც მოთხრობის საერთო წყობაში მეტად მცირე ღირებულება აქვთ ობიექტურად: მოთხრობის ძირითადი გამართულობა მათზე არაა დამოკიდებული და იგი

მათ გარეშეც. თავის ლოგიკურს მთლიანობას უკლებლივ ინარჩუნებს.

ასე რომ თუ ერთი მიმართულებით, მოთხრობის ე.წ. განმსაზღვრელ ელემენტების მიმართულებით, მეორე რეპროდუქციის მონაცემში გაფართოება სჩანს პირველი რეპროდუქციის ანალოგიურ შინაარსებთან შედარებით და ამ რიგად დედანთან დაახლოების ტენდენცია სპირალის სახით შეიძლება გამოიხატოს, ამ ე.წ. ემოციონალური ტონით აღბეჭდილ შინაარსების მიმართულებით, პირიქით, პირდაპირი ხაზი უნდა ვიგულვოთ, რომლის დასაწყისს პირველი რეპროდუქციის აქტში აქვს ადგილი, ხოლო გაგრძელებას მეორე რეპროდუქციის მონაცემებში და ამ რიგად დედანიდან თანდათან დაშორების გრადიელ გამოხატულებას წარმოადგენს.

ასეთია ჩვენი ცდების შედეგად მიღებული ფაქტები.

ეხლა შეგვიძლია ამ ფაქტების გარჩევას შევუდგეთ.

თავიდანვე იყო აღნიშნული, რომ მეხსიერების ე.წ. პირველი ფაზის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს დამაკმაყოფილებელი თეორია.

ჯერ კიდევ არ არსებობს ისეთი შეხედულება, რომელიც ოდნავ მაინც აკმაყოფილებდეს ჩვენს მოთხოვნილებას ამ მიმართულებით.

რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი ფაქტები საკმაო რაოდენობით

---------------------------

ამ მიმართულებით დაგროვილი და მით უმეტეს, არც თეორიაა ჯერ მის შესახებ დამაკმაყოფილებლად შემუშავებული.

ზემოთვე აღნიშნული იყო, რომ თუ ჩვენი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საკმაო ფაქტებს ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ აქ განწყობის [illegible] თავისებურ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

ეს ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პირველ ფაქტთაგანშივე სჩანს აშკარად.

განწყობის თეორია გვასწავლის, რომ ყოველი ჩვენ მომქმედი ფაქტორი გარკვეულს მთლიანს მოდიფიკაციას იწვევს სუბიექტში.

ეს ძირითადი პოსტულატია განწყობის თეორიის, რომელიც მრავალი ექსპერიმენტული მონაცემითაა დადასტურებული.

მართლაც ჩვენ ვხედავთ ჩვენ ცდებში, რომ როცა მოთხრობას ისმენს ჩვენი ცდის პირი, ეტყობა მასში გარკვეული განწყობის გაფორმება იწყება.

ჩვენი ცდის პირების ჩვენებები სწორედ ასეთ მთლიან განწყობას ააშკარავებენ.

ის გარემოება რომ ისინი მთლიან მოთხრობას გვაწვდიან როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში,

-----------------------------

მოწმობს ასეთ მთლიან განწყობის თავისებურ გამოვლინებას.

რომ, ეს ასე არ იყოს, რომ სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაციის თავისებური პროცესი არ ედოს საფუძვლად ამ მოვლენებს, მაშინ მთლიან რეპროდუქციებს ვერ მივიღებდით, მაშინ ის მთლიანი გაქანება რომელიც თვითეული ამ პროცესთაგანში ვლინდება, აღარ იქნებოდა.

რეპროდუქციის პროცესი რომ კაცნობიერების იმ საფეხურებს მისდევდეს, რომელის შესახებაც, ვსთქვათ ზოგიერთები აღნიშნავენ – ვსთქვათ ზემოდ დასახელებული შეხედულება ამის შესახებ – მაშინ მოთხრობის კომპაქტურ მთლიანობას ამ რეპროდუქციების აქტებში ადგილი აღარ ექნებოდა.

მთლიანი განწყობის ფაქტზე, როგორც ყველა ამ პროცესების საფუძველზე, მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ალაგ ჩვენი ცდის პირები მთლიანი მოთხრობის ნაცვლად ცალკეულ სიტყვებს აღადგენენ.

ახლა ეს ადვილი გასაგებია. იქ სადაც განწყობა ზედმომქმედ ფაქტორის შესაფერისად ვერ აღმოცენდება, რა გასაკვირველია რომ ცდის სუბიექტის რეაქცია ასე დარჩეს.

---

აქ მოთხრობის მოსმენამ ვერ შესძლო სათანადო მიმართულებით განეწყო ცდის პირი. სუბიექტის მოდიფიკაცია ვერ მოხდა და იმთავითვე [illegible] დაირღვა იგი.

ამის შედეგი სწორედ რომ ცალკეული სიტყვების გადმოცემაა.

მაშასადამე როცა ცდის პირი ჩვენი სიტუაციის /ცდებში დასახელებული სიტუაციის/ ზემოქმედებას განიცდის, უმალ მისი ამოძრავება იწყება.

ეს ამოძრავება იმაში იხატება, რომ სუბიექტ-ში გარკვეული განწყობის ჩამოყალიბებისტენდენცია იჩენს თავს.

მაგრამ იმის გამო, რომ ამ ტენდენციას იმთა-ვითვე ეცლება ყოველგვარი დასაყრდენი, განწყობაც უმალ ირღვევა, სუბიექტის გარკვეული მიმართულებით მოდიფიკაციას დაბრკოლება ეხახება, იგი დასაწყისშივე ერთგვარ ფიასკოს განიცდის და შედეგი მისი სრულს აღკვეთაში ვლინდება.

ის განწყობა, რომელიც ამ სიტუაციის მთლიანი ზემოქმედებით შეიძლებოდა აღმოცენებულიყო, დაირღვა.

მხოლოდ განწყობის მოცემულობით შეიძლება აიხსნას

------------------------------

ის გარემოება, რომ ცდის პირის რეაქცია, მოთხრობის პირველ სერიაში განახლების დროს, ხშირად სრულიად ექსტრაორდინარულია. მას, როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, ორსახოვანი მიმართულება აქვს:
ხშირად იგი ე.წ. გადაჯაჭვულად იწყება.

ეს იმაში გამოიხატება, რომ ჯერ სიტყვათა უწესო თანამიმდევრობას ვხვდებით ცდის პირის რეაქციებში და მერე კი – მთლიანი მოთხრობის გაფორმებას.

აქ ზედმომქმედი სიტუაცია თავის მიზანს უმალვე ვერ აღწევს.

სჩანს განწყობის აღმოცენება განსაზღვრულ დაბრკოლებას აწყდება. მის გენეზისს წინ უსწრებს ერთგვარი შეფერხება, რაც უწესრიგო სიტყვათა გადმოცემით მჟღავნდება.

ყველგან, სადაც ცდის პირის რეაქცია იმაში გამოიხატება, რომ ის მთლიანი მოთხრობის მოსმენის შემდეგ ამ მოთხრობიდან აქა – იქ ამოგლეჯილ სიტყვათა კონგლომერატს გვაწვდის პირველადა პირველ, და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მთლიანი მოთხრობის გადმოცემაზე, განწყობის შეფერხებას აქვს ადგილი. მხოლოდ ამ შეფერხების გადალახვა უხსნის გზას ახალი მთლიანი მოთხრობის გადმოცემას, რომელიც როგორც ვნახეთ, არ წარმოადგენს მოსრულებულ ასახვას ჩვენს მიერ წაკითხულ მოთხ-

-----------------------------

რობის შინაარსისა, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც მისი საბოლოო რეაქციაა და მას ნაწილობრივად მაინც ასახავს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია, ყოველთვის რაღაც გამაერთიანებელ მომენტს ემყარება.

ეს მომენტი მთლიანი განწყობის გაფორმებაში განსაკუთრებულ როლს უნდა თამაშობდეს.

ცხადია მისი /ამ გამაერთიანებელი მომენტის/ ხასიათი და ბუნება ყველა ცალკე განწყობის შემთხვევაში თავისებური იქნება: ეფრო დანაწევრებულ განწყობაში და შინაგანი აღნაგობის მიხედვით ყოველმხრივ გაფორმებულ განწყობაში იგი სრულიად სხვანაირი უნდა იყოს თავისი შინაარსისა და ბუნებით.

ხოლო ნაკლებ დანაწევრებულს განწყობაში, მოუსრულებელსა და შინაგანად გაუფორმებელის განწყობაში - სრულიად სხვანაირი.

ამით აიხსნება ერთგვარი სივრცული მოხაზულობა, როგორც თავისებური ფაქტორი განწყობის გაფორმების პროცესში.

------------------------------

ჩვენს ცდებში ნათლად სჩანს, რომ ეს საერთო მოხაზულობა, მისი გასაქანი, მიუხედავად შინაარსეულად სპეციალურისა, წამყვან როლს თამაშობს, შიგნიდან კანონ-მდებლობას მოთხრობის რეპროდუქციის პროცესს პირველი აღქმების დროს; მეორეში კი იზრდება და მეორე ფაქტორის უთმობს ადგილს ამ მხრივ.

მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში განწყობა უფრო, მეტ გამართულობას აღწევს, შინაარსეულად ნაწევრდება. ამის გამო აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელობას ჰკარგავს და განწყობის გაფორმების მიმართ ელებით წამყვან როლს უკვე სხვა, უფრო მაღალი ხარისხის ფაქტორი თამაშობს.

ზემოთ არა ერთ გზის აღნიშნული გარემოება, რომ პირველი რეპროდუქციის შინაარსში ე.წ. ემოციონალური მომენტები იჭრებიან ავანსცენისკენ განსაკუთრებით, ხოლო ე.წ. რეალური მომენტები მეორე რეპროდუქციის შინაარსში ვლინდებიან განსაკუთრებით.

ის გარემოება რომ აქ, ამ მეორე შემთხვევაში ის შინაარსები უკვე აღარ სჩანან, მოწმობს განწყობის შიგნით მიმდინარე ბრძოლას; ეს ბრძოლა განწყობის მოსრულების წინამორბედი საფეხურია.

ეს ჭიდილი განწყობის გაფორმების პროცესში მომქმედ

---

ძირითად ფაქტორის მერე, სხვა ძირითად ფაქტორზე შენაცვლების გამოხატულებაა.

თუ მთელი ამ რეპროდუქციული პროცესების საფუძვლად სუბიექტის მთლიანს მოდიფიკაციას ვიგულისხმებთ, მაშინ ისიც გასაგები დარჩება თუ რატომაა რომ თვითეულ ამ რეპროდუქციის შემთხვევაში ე.წ. მთლიანი ნაგებობა გვეძლევა, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, რომელიც შინაგანი კომპაქტობით ხასიათდება და საკუთარ სტრუქტურაში წასიერდება.

მართლაც თუ მეხსიერება ერთხელ შექმნილი განწყობის აქტუალიზაციაა, მაშინ შეუძლებელია ეს აქტუალიზაცია და იმავე ფაქტორის ზემოქმედებით აღმოცენებული განწყობისა, პრინციპიალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მართალია განსხვავებები არის შიგნი იმ ნაგებობათა შორის, რომლებიც პირველი რეპროდუქციისა და მეორე რეპროდუქციის შედეგად გვეძლევა, მაგრამ ამავე დროს აშკარადა ვგრძნობთ რომ ისინი ერთსა და იმავე ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი:

მიუხედავად იმისა, რომ თვითეულ მათგანს განსხვავებული შინაგანი სტრუქტურა აქვთ, როგორც დავინახეთ, ისისნი მაინც თმლიანობით ხასიათდებიან, რომლის ძირები

---

ორივე შემთხვევაში, იდენტურნი არიან,

ამ საერთო ფესვების დემონსტრაციას ორივე შემთხვევაში ე.წ. რელიქტური ელემენტები წარმოადგენენ. მართალია ეს რელიქტური ელემენტები რაოდენობით მცირეა, განსაკუთრებით პირველი რეპროდუქციის შემთხვევაში, მაგრამ ის ფაქტი რომ ისინიც მეორე რეპროდუქციის პროცესშიდაც იჩენენ თავს, მიუთითებს იმაზე, რომ ორივე შემთხვევაში პიროვნების მთლიან ცვლილებების გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

ამიტომაა რომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითეულ რეაქციის ცდათა დასახელებულ ყველა სერიებში მართალია განსხვავებული შინაარსი სტრუქტურა გააჩნია, მაგრამ ყველანი განსაზღვრული მთლიანობით ხასიათდებიან. ეს შინაარსი სტრუქტურული განსხვავებანი განსაზღვრულ მთლიან დასაყრდენზე პოულობენ ფორმირების /გაფორმებას/ საფუძველს და ამიტომ მიუხედავად ამ შინაარსი განსხვავებულობისა; მაინც მთლიან ნაგებობაში იყრიან თავს.

სწორედ ამის საფუძველს ის საერთო ელემენტები ამჟღავნებენ, რომლებიც როგორც ერთს, ისე მეორე რეპროდუქციის პროცესში იშვიათი იდენტურობით ვლინდებიან.

---

თუ რეპროდუქციის შედეგთა შინაარსეულ განსხვავებებს შემადგენელ ელემენტების სახელწოდებით აღვნიშნავთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს საერთო ელემენტები მოცემული სიტუაციის ყველაზე უფრო ობიექტურ ასახულობას შეიცავს. ის გარემოება, რომ ე.წ. აზრობრივი ელემენტები, რომლებიც პირველსავე რეპროდუქციის შედეგში ჩანან, როგორც ზედმომქმედი სიტუაციის რეალური ასახულობა, უცვლელებლივ გადადიან მეორე რეპროდუქციის შედეგში, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ჩვენს ცდებში.

ეს ფაქტი არაჩვეულებრივი სიმკვეთრით იჭრება ჩვენს თვალში, როცა ამ ცდების სუმარულ შედეგებს ვითვალისწინებთ.

იგი ყველაზე უფრო ადასტურებს იმას, რაც ზემოდ აღინიშნა.

რომ პრინციპული სხვაობა ერთისა და იმავე ფაქტორის რეპროდუქტულ შედეგთა შორის არც შეიძლება იყოს, განწყობის თვალსაზრისით.

თვითეულ მათგანს რომ ერთი და იგივე სიტუაციის ზედმოქმედება უდევს საფუძვლად.

როდესაც რომელიმე სიტუაცია მოქმედებს სუბიექტზე, განწყობის კონცეპციის თანახმად, ცვლილება ამ ზედმომქმედი ფაქტორის შესაბამისად ხდება.

ახალი განწყობა ამ ზედმომქმედი სიტუაციის გამოხატულებაა.

მაშასადამე იმას, რაც შეიძლება სუბიექტში აღმოჩნდეს ამიერიდან, საფუძვლად უნდა ედოს სწორედ ის შედეგი, რომელიც ამ ზედმოქმედე-

ბის სუბიექტში გამოიწვია.

შეუძლებელია ამის გამო, რეპროდუქციის მონაცემში, როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში, ამ ზედმოქმედ სიტუაციის შედეგად წარმოშვებულ მონაცემებთან არ გვექნეს საქმე.

შეუძლებელია, იმ მთლიანი ცვლილების ველში, რომელიც სუბიექტის რეაქციას ახასიათებს ამ შემთხვევებში, ზედმოქმედი სიტუაცია არ სჩანდეს როგორღაც.

აქ ჩვენს წინაშე შემდეგი საკითხი დგება: რით უნდა აიხსნას ის გარემოება რომ მეორე რეპროდუქციის შედეგში, როგორც ვნახეთ, რეალური სიტუაციის მეტი ელემენტი იჩენს თავს.

რატომაა რომ თვით ეს რეპროდუქტული შედეგები როგორც ითქვა, გარდა ამისა, შინაგანად მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

რატომაა რომ მეორეში მეტი რეალური ელემენტია, ერთი სიტყვით, და პირველში-არა. რატომაა რომ როგორც ზემოდ აღვნიშნე, მეორე რეპროდუქციის შედეგში მეტადაა ასახული ზედმოქმედი სიტუაცია და იმ შინაარსეულ ...[illegible]..., რომელიც პირველს რეპროდუქციის შედეგში ვადცერებთ, ადგილი

---

აღარ აქვს.

ამას თავის მხრივ განწყობის ზოგიერთ თავისებურების განხილვაზე გადავყევართ.

იმ თავისებურებათა განხილვაზე, რომლებიც მას /განწყობას/ გაფორმების პროცესში ახასიათებს. რაც მის გაფორმების ონტოგენეტური განვითარების სტადიებში უნდა ახასიათებდეს.

მაშასადამე სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია ზემომქმედ სიტუაციის ზემოქმედებისთანავე მხოლოდ ყოველმხრივ მოსწრების სტადიაშია მისთვის დამახასიათებელი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ განწყობის მთლიანი გაფორმება, როგორც ზემოქმედ ფაქტორის გამოხატულება, განსაზღვრულ დროს მოითხოვს და იგი ამ დროის განმავლობაში საბოლოოდ ფორმირდება.

ეს დრო იმდენად უფრო მეტია, რამდენადაც უფრო ნაკლებია საერთო მოსწრება და მომწიფება სუბიექტის.

სწორედ ამგვარადვე, როგორც განწყობის ძალა, ზემოქმედ სიტუაციის ზეგავლენას გამოაშკარავების შესაძლებლობას ქმნის, რადგან იგი აღარ

------------------------------

სჩანს ამის გამო სუბიექტში,

ზედმომქმედ სიტუაციის შედარებით სისრულით გამოაშკარავებაც მხოლოდ განწყობის საბოლოო ჩაფორმების შემდეგ ხდება, რაც დაბალ კლასებში მოგვიანებით გვეძლევა.

განწყობის თვალსაზრისით დავიწყების პროცესი განწყობის თანდათანს დაშლაში გამოიხატება.

რამდენადაც უფრო დიდხანს არსებობს სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია, რომელიც განსაზღვრული სიტუაციის ზეგავლენით წარმოიშვა, იმდენად უფრო დიდხანს რჩება ცნობიერებაში იგი.

სუბიექტს მანამ შეუძლია ანგარიშის მიცემა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ განმეორებით, სანამ ამ მოვლენის ზედმოქმედების შედეგად გამოწვეული მოდიფიკაციის მთლ. არ დაირღვევა.

ერთი სიტყვით თუ განწყობის საფუძველზე დავუდგებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დროს გავლენა ადამიანზე ამა თუ იმ მასალის დავიწყების მიმართულებით, სწორედ განწყობის თანდათანი შესუსტებით უნდა აიხსნას.

---

ფაქტები, რომლებიც დავასახელე, ორი ასპექტით უნდა განვიხილოთ.

პირველი პრეზენტული თვალსაზრისია: იგი გვაჩვენებს იმას თუ რამდენად შეიძლება მათში განრცობის შესახებ უკვე დადასტურებული დამახასიათებელი თვისებები ამოვიკითხოთ.

მეორე-კი - პერსპექტულ თვალსაზრისს წარმოადგენს: მის მიხედვით შეიძლება ის დავადგინოთ, თუ რა თვისებები სჩანს მათში ისეთი, რომლებიც განრცობას უნდა ახასიათებდეს და რის დადასტურებაც უფრო ნათლად, მომავალი მუშაობის შედეგად იყოს მოსალოდნელი.

ის ფაქტები, რომლებშიდაც აშკარად სჩანს ზედმომქმედ სიტუაციის /ამ შემთხვევაში მოთხრობის მოსმენის/ შინაარსეული გაფართოება მეორე რეპროდუქციის პროცესში, მიგვითითებს იმაზე, რომ განრცობას მხოლოდ ე.წ. დასრულებულ, ან უფრო სწორედ, მომთავრებულ ფორმაში როდი უხდება ყოველთვის გამოვლინება.

ჩვენი ფაქტები გვაჩვენებენ, რომ მას საკუთარი "ისტორია" გააჩნია.

ეს "ისტორიულობა" მას განსაკუთრებით ადამიანის განვითარების გარკვეულ ჰასაკში ახასიათებს.

ამიტომ ამ ჰასაკში დავიწყების მიმდინარეობის <u>დასაწყისის ტემპორალური</u> მიჯნა სწორედ აქ კი არაა,

სადაც ზემოქმედი სიტუაცია აღიკვეთება, არამედ იქ სადაც მისი ზემოქმედების შედეგად წამოწყებული განწყობის გაფორმების პროცესი მაქსიმუმს მიაღწევს.

ერთი სიტყვით აქ დაწყების პროცესის შესახებ მას შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ, რაც განწყობის გაფორმება დასრულებულად ჩაითვლება.

სულ სხვა საკითხია თვითონ ამ პროცესის დამოუკიდებლად შესწავლა, ხასიათის მის მიმდინარეობაში, ტემპი, ფაქტორები შიგ, დრო, და სხვადასხვა..

მაგრამ რომ ეს თავისებურება განწყობის გაფორმების მიმართულებით უნდა იყოს, ამას ეს ჩვენი ფაქტები ადასტურებენ.

განმეორებით რომ აღვნიშნოთ: სანამ განწყობა არ გაფორმებულა, სანამ ის მოუმთავრებელია, მანამ შეუძლებელია დაწყების პროცესის დასაწყისი ვაფიქსიროთ.

მანამ დაწყების დასაწყისი მიტომაა შეუძლებელი, რომ განწყობის შინაგანი ჩამოყალიბება მიმდინარეობს და მაშასადამე ზემოქმედი სიტუაციით გამოწვეულ ცვლილებას თავის საბოლოო სახე არ მიუღია.

ეს გაუფორმებლობა, დაუსრულებლობა განწყობისა,

---

შეუძლებელია თავისებურ სახეს არ აძლევდეს ყველაფერ იმას, რაც მეხსიერების ე.წ. პირველი ფაზის გასწვრივ მიმდინარეობს.

განწყობის ეს გაუფორმებლობა, მისი ეს მოუსრულებლობა, ცხადია, მიზეზია იმისა, რომ ყოველი ელემენტი იმ მთლიანი ცვლილებისა, რომელიც გარკვეული ფაქტორის ზემოქმედების შედეგად იწყება, ჩვენს წინაშე ვერ გამოვლინდება.

ზემოქმედების გახვლის მომენტშივე სუბიექტს შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივად გადმოსცეს ზემოქმედების შედეგი. ეს სრულიად ცხადია ყველა ზემოხსათქმულიდან, და როგორც თავიდანვე აღინიშნა, განწყობის თვალსაზრისით ჩვენი შედეგების ახსნა სხვა ფაქტებითაც მარცხდება.

სხვა ფაქტების საფუძველზე კი, ჩვენ დავინახეთ, რომ მხოლოდ განწყობის თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე დამაკმაყოფილებელი.

ყველაზე საკვირველი ჩვენი ცდების შედეგში როგორც ვნახეთ, არის ის გარემოება, რომ ჩვენ ერთგვარ ე.წ. მეხსიერებითი ნამალ ელემენტებთან გვაქვს საქმე.

ესაა რომ განცვიფრებას იწვევს საერთოდ.

და ზემოდ ჩამოთვლილ მოსაზრებებს გავითვალისწინებთ

---------------------

-

ეს ნამატი აღარ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეხსიერების პარადოქსულ გამოვლინებად.

იგი პარადოქსი კი არა კანონზომიერი [illegible] მოვლენა იქნება, ოღონდ არა მეხსიერებისა ცხადია, რადგან როგორც თავიდანვე იყო აღნიშნული, მეხსიერების ცნებაში არ შედის ეს.

მუშაობა აქ ჯერ კიდევ არ არის.

აქ არსებითად ნამატს ადგილი არ აქვს. მართალია მეორე რეპროდუქციის შემთხვევაში მეტი ელემენტები გვძლევა, ვიდრე პირველი რეპროდუქციის დროს, მაგრამ სწორედ ამიტომ იგი ნამატი კი არ არის, არამედ გარკვეული პროცესის მომთავრების შედეგი.

განწყობის გაფორმების მომთავრების შედეგი.

იმის გამო რომ განწყობა პირველ ზედმოქმედებისთანავე ვერ [illegible] მოსრულდა, ცდის პირმა ზედმოქმედ სიტუაციის მხოლოდ ნაწილობრივი ასახულობა მოგვცა.

მაგრამ დროთა ვითარებაში განწყობის მოსრულება ხდება, ზედმომქმედი სიტუაცია, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ აღარ მოქმედებს სუბიექტზე, თანდათან უფრო სისრულით ვლინდება.

------------------------

როგორც ზევით აღინიშნა, ჩვენს მიზანს არ შეადგენს განწყობის იმ თავისებურების შესწავლა, რომელიც ამ ჩვენ მასალაში ვლინდება.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც სწორედ ამ თავისებების გათვალისწინება ხდის გასაგებად ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს,

იმდენად აუცილებელია ამაზეც შეჩერდეთ.

ჩვენი ფაქტების მიხედვით უნდა ითქვას, რომ ონტოგენეტური განვითარების გარკვეულ ასაკში. ამ შემთხვევაში, სკოლის წინარე ასაკში, განწყობის წარმოშვება ზემოქმედ ფაქტორის უშუალო პირობებშივე არ ხდება.

აქ ორი შემთხვევაა გასარჩევი. (ეს იმის გამო, რომ ასეთს მოვლენას ყოველთვის კი არ აქვს ადგილი.)

ხან ასე ხდება, რომ განწყობის გაფორმება იგვიანებს, ხან კი მაშინავე წარმოიშვება.

ასე რომ, არ შეიძლება ითქვას ამ პროცესის აბსოლუტური ბატონობის შესახებ.

თუ მაშინ, ე.წ. უაზრო მასალის მიწოდების შემთხვევაშიც, ასეთ პროცესს, ე.ი. განწყობის [illegible]

---

და მაშასადამე მეხსიერების ე.წ. გადართოების გამოწვევას უნდა ვხედავდეთ.

ნამდვილად ეს ასე არ არის როგორც ცნობილია. გარდა ამისა ჩვენი ცდები ადასტურებენ, რომ ზოგი მასალის მიმართ, სულ სხვანაირად მიმდინარეობს შენარჩუნებისა და დავიწყების პროცესი.

მაგ. ჩვენს პირობებში აღქმული მასალის გადართოებას მხოლოდ მოთხრობის საპასუხოდ აღმოცენებულს რეპროდუქციულს რეაქციებში ვხვდებით. როცა მხოლოდ განცალკევებულს სიტყვებს აღიქვამს ცდის პირი, მაშინ ამას ადგილი არ აქვს: ყოველ შემთხვევაში მასალის გადართოებას, მის რაიმე მიმართულებით გაუმჯობესებას და ამ რიგად დედანთან მიახლოებას ჩვენი ცდების პირობებში ვერც ერთხელ ვერ ვადასტურებთ.

პირიქით სწორედ სწრაფი შეკვეცა და შემცირებაყველგან დამახასიათებელია ამ მეორე შემთხვევათაგანში, [illegible]
[illegible]

თუ განწყობის გაფორმების სტადიებს მივიჩნევთ გადართოების მიზეზად, იმის მიზეზად, რომ მეორე

---

სეფდბში ჩვენი ცდების ე.წ. აზრიან მასალის სიტუაციაში, მასალაზე მომატებას აქვს ადგილი, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი სიტუაციის მიმართ განწყობის გაფორმებას ასეთი ხაზგასმულობა არ ახასიათებს.

არის გამღიზიანებლები, რომლებიც სათანადო განწყობას, ზედმოქმედებისთანავე იწვევენ სუბიექტში. ამის ნიმუშად სწორედ ე.წ. გამტყუნებული რეაქციები გამოდგება.

უნდა ვიგულისხმოთ ამის შესაბამისად, რომ ზედმომქმედ გამღიზიანებლებში უნდა ვეძებოთ იმის მითითება, თუ რომელს ცალკე შემთხვევათაგანში რომელს რეაქციას მივიღებთ.

ე.წ. მოსრულებული ფორმის განწყობას, რომელიც ასახავს ზედმომქმედ გამღიზიანებელს უმალვე, თუ ისეთ მდგომარეობას, რომელშიდაც ზედმომქმედ გამღიზიანებლობა შესაბამისი განწყობა მხოლოდ ისახება და დასრულებისაკენ და გაფორმებისაკენ ზედმომქმედ ფაქტორის აღკვეთის შემდეგაც მიიმართება.

---

სულ სხვა საკითხია, თუ რა არის ამის მიზეზი. რამაა რომ ზოგიერთი გამღიზიანებლები უმალ იწვევენ ადეკვატურს განწყობებს, ზოგი კი მხოლოდ დასაწყისს აძლევენ მას და გაღრმება და მოსრულება კი მათი გარკვეულ დროის მიმდინარეობაში ხდება.

ამის პრელიმინარული პასუხი ჩვენი მასალის ფარგლებშიდაც შეგვიძლია მოვნახოთ.

როდესაც ცდის პირი თმლიანი მოთხრობის აღგენას უდგება და მისი მთლიანი მიზანდასახულობა ირღვევა, ცალკეული სიტყვების ადეკვატურს ასახვას ახდენს.

ამ სიტყვების რაოდენობა მიტომაა ზუსტად გასაზღვრული, მიტომაა მათი დაქვეითება ხელმეორე აღგენის ცდებში და არა მომატება, რომ განწყობის გაფორმება უკვე მოხდა პირველ დაპირისპირებისთანავე.

მაშასადამე ის სიტუაცია, რომელსაც მოთხრობა წარმოადგენდა მთლიანად, დაიშალა მის შემადგენელ სიტუაციებად.

ეს ელემენტარული შედგენილობის სიტუაცია უკვე ადეკვატური განწყობის წარმოშვებას ახერხებს.

---

აქედან სიტუაციათა განსხვავებულობა მათ სირთულე-სიმარტივეში შეგვიძლია დავინახოთ.

მაშასადამე არსებობს სიტუაციები, რომელთა ზემოქმედება მხოლოდ ხანგრძლივი დროის მანძილს მოითხოვს იმისათვის, რომ სუბიექტი მათ მიერ გამოწვეულ ადექვატური მოდიფიკაციის ქვეშ უმალ მოექცეს.

ეს სუბიექტის საერთო ზრდის პროცესში ხდება.

მისი წინამორბედი საფეხური იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი განწყობები მხოლოდ შედარებით მარტივი აგებულების სიტუაციებში წარმოიშვის.

ამიტომ ვამბობდით ზევით, რომ განწყობას თავის "ისტორია" აქვს.

ის ამ "ისტორიის" ჭრილში გათვალისწინებით განსაკუთრებული თავისებურებით სდგება ჩვენს წინაშე.

მაშასადამე რაც უფრო დაბალ საფეხურზეა განვითარებისა ადამიანი, მით უფრო შესამჩნევია ეს ფაქტი, რომ გამღიზიანებელი, რომელმაც უმალ ვერ შესძლო სუბიექტის მოდიფიცირება, აღკვეთის შემდეგაც ამჟღავნებს ერთგვარს ზეგავლენას. ეს ზეგავლენა იმაში

---

გამოიხატება, რომ ასეთი გამღიზიანებლები სუბიექტის მომენტალურ მოდიფიცირებას ვერ ახდენენ, მაგრამ ამ მოდიფიკაციის ძირითად ხაზს მაინც სწევენ, რომლებიც როგორღაც განაგრძობენ მსვლელობას გარკვეულ მიმართულებით. სჩანს ადამიანის განვითარებაში ეს ხაზი მაჩვენებელია გარკვეული სტადიისა.

ჩვენი ცდების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ერთგვარ ბრძოლაში გამოიხატება.

ჩვენი ცდებით შეიძლება დახასიათდეს ის ფაქტორები, რომლებიც ამ ბრძოლაში ერთგვარ მონაწილეობას იღებენ.

შეიძლება მიუთითოთ იმაზე, თუ რა იღებს მონაწილეობას განწყობის გაფორმების დაბრკოლებაში.

ყოველშემთხვევაში შეიძლება მიუთითოთ იმ გარემოებაზე, რომლებიც განწყობის გაფორმების სიძნელეებს ამ საფეხურზე რომ ახასიათებს ადამიანის განვითარებას, განუყრელად ახლავს თან.

ეს ჩვენ ზემოდ დავინახეთ.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი ცდების პირველ სერიებში განსაკუთრებული სიხშირით ცდის პირის იმ მონაცემებს ვხვდებით, რომლებიც ემოციონალური ხასიათის

---

მონაცემებს წარმოადგენენ.

ეს ემოციონალური შინაარსები, როგორც ჩვენ მას ვუწოდეთ სწორედ ის შინაარსებია, რომლებიც შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს იმ სიტუაციაში.

ასე რომ რეალური სახეობა ამ სიტუაციის, ყოველთვის უნდა შეიცავდეს მას. ამ თვალსაზრისით ამ ელემენტებსა და ზემომქმედ სიტაციის სხვა ელემენტს შორის განსხვავება არ შეიძლება იყოს. ისინი ხომ ყველანი ერთისა და იმავე სიტაციის გამოხატულებას იძლევიან საერთო შეჯამებაში, თუ შეიძლება ითქვას.

მიუხედავად ამისა პირველი რეპროდუქციის რეზულტატებში ეს ე.წ. ემოციონალური ელემენტები იქრებიან.

სამაგიეროდ მეორე რეპროდუქციის შედეგებში როგორც დავინახეთ, ისინივე უკლებლივ ამოცვივდენ.

სჩანს ეს თავისებური ჟიდილის მაჩვენებელია, რომელიც განწყობის გაფორმებას თანსდევს, ქვევით — [illegible]

ეტყობა განწყობის წარმოშვების დაბრკოლებაში ასეთი ელემენტები გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდენ.

ისინი ე.წ. ობიექტივაციის შეუძლებელყოფენ. ისინი განწყობის გაფორმებას ხელს უშლიან ამ საფეხურზე განვითარებისა.

---

შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისეთ სიტუაციებში, რომლებიც განსაკუთრებული სირთულით ხასიათდებიან, ისეთი ელემენტები, რომლებიც ე.წ. ემოციონალურ ელემენტებს წარმოადგენენ, სუბიექტში ემოციონალურ .დაძაბვას. იწვევენ, რაც გახწყობის ნორმალური გამართვის შესაძლებლობას აბრკოლებს.

საჭიროა, დრო, ხანი, რომ შეფერხებული განწყობა გაიმართოს, თანდათან მოხდეს ამ დაბუხვის განფენა.

მაგრამ მეორე მხრივ ამ დაბუხვის განფენის პროცესი თავის მხრივ ალბათ რაღაც სხვა მომენტების ზეგავლენით თავისებურ უკიდურესობას იწვევს.

ეს იმაში გამოიხატება, რომ ასეთი ადგილები სიტუაციის შინაარსში, იკარგებიან.

ერთი სიტყვით ზედმომქმედ სიტუაციის განსაზღვრული აღნაგობის შემთხვევაში მისივე ზოგი ელემენტი განწყობის გაფორმების პროცესში [illegible] მიმართულებით განსაზღვრულს როლს თამაშობს.

რომ ქვედა საფეხურებზე ადამიანის განვითარებისა ამ ემოციონალურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს იბაექ-

---------------------------

ტური სინამდვილის ასახვის მიმართულებით, ეს ცნობილია დიდი ხანია.

ამ ჩვენ მასალასთან და მის ნიადაგზე შემუშავებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საჭიროა დახასიათლით ეს მონაცემები.

ცნობილია, რომ აღქმა გარეშე სინამდვილისა ორი მიმართულ ბით მიმდინარეობს ქვევით: სუბიექტური მიმართულებით და ობიექტური მიმართულებით.

ბავშვები [illegible]ის ცდებში ემოციონალური შინაარსებს აღნიშნავენ ობიექტში და უფრო რეალურ შინაარსებს კი, რომლებიც მათთვის მართლაც რომ ესენციალურ ნიშნებს წარმოადგენენ – ვერა.

ეს როგორც სხვების ცდებმა გამოარკვია, მერე ხდება.

რაც უფრო დაბალია ასაკი, მით ეს მომენტი უფრო აღსანიშნავია.

მრავალი ფსიქოლოგი ამის მიხედვით შემეცნების ევოლუციას შემდეგნაირად წარმოიდგენს:

"მათი აზრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შეგრძნებისა და აღქმის თანდათანი განვი-

----------------

თარების პროცესი. შეგრძნების განვითარების თვალსაზრისით მოვლენებს განიხილავენ ხშირად.

ეს მოვლენა ტიპიურ გამოხატულებად მიაჩნიათ იმ სტადიისა შეგრძნების განვითარებაში, რომელიც პერცეპტულისა და აფექტურ მომენტების არა დიფერენცირებულ მთლიანობით ხასიათდება.

ამ საფეხურზე თითქოს ობიექტური შინაარსი და სუბიექტური მდგომარეობანი დაუნაწევრებელს ერთიანობაში გვევლინებიან.

განვითარებას იმაში ხედავენ, რომ ხდება ამათი თანდათანი განცალკევება.

სენსორული განვითარების ხაზი თითქოს სწორედ ამ ორი მომენტის თანდათანი განცალკევების ფაქტებში ვლინდება.

სუბიექტური მდგომარეობა თანდათან უკან იხევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, და წინა პლანზე ობიექტური შინაარსები გამოდიან.

სენსორული განვითარების ძირითადი ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ ე.წ. გრძნობითი მოცემულებანი თანდათან უფრო ობიექტური შინაარსების

---------------------

ასახულობათ იქცევიან და მეტად მინიმალურ ფარგლებ-ში გამოხატავენ ორგანიზმის აფექტურ მდგომარეობებს.

ამრიგად, თითქმის განვითარება იმაშია, რომ გრძნობითი მონაცემები აღარ წარმოადგენენ გარე გამღიზიანებლის მიმართ წარმოშობილ სუბიექტური ხასიათის რეაქციას მხოლოდ, არამედ მის - ობიექ-ტურ გამოხატულებას.

ანალოგიურივე მიდგომაა გავრცელებული ე.წ. აღქმის თანდათანი განვითარების საკითხის განხილ-ვის მიმართ. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ემოციონალური დამოკი-დებულება საგნისადმი წინ უსწრებს თვით საგნობრი-ვი ცნობიერების გაფორმებას.

აქაც მაშასადამე არ მომხდარა ჯერ სუბიექტის განთავისუფლება, თუ შეიძლება ასე ითქვას ხელშეშ-ლელ პირობებისაგან.

ისინი, ეს ხელშემშლელი პირობები კი თვითონ სუბიექტშია, რამდენადაც მისი ემოციები განსაზღვრა-ვენ მის ცნობიერებაში საგანს და არა ის, რაც ამ საგნის ობიექტურ ასახულობას წარმოადგენს.

---

ეს გავრცელებული აზრები, რომლებიც ექსპერიმენტულ მონაცემებს ემყარებიან, მითაა საინტერესო, რომ მათში საუკეთესოდ გამოჭვივის განწყობის ფორმირების პროცესი ე.წ. სკოლის წინარე ჰასაკში /ეს ჩემს მიერ მოყვანილი დებულებები სწორედ სკოლის წინარე ჰასაკის ცნობიერების დახასიათებას შეეხება/.

ესენი ადასტურებენ, რომ განწყობის ფორმირების პროცესი ტეხილი ხაზით მიმდინარეობს.

გარკვეული სიტუაციის ზემოქმედება უმალ ვერ იწვევს სუბიექტის სათანადო მიმართულებით მოდიფიცირებას.

ამას ბევრი რამ უშლის ხელს და მხოლოდ თანდათან აღწევს იმ საფეხურს, რომელზედაც ზემოქმედებას განწყობის მოსრულებული სახით წარმოშვება სდევს თან.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი განსაკუთრებით გაძნელებულია იმ ჰასაკში, რომლის დამახასიათებლადაც აღქმის ე.წ. დიფუზურობა მიაჩნიათ.

ე.წ. გადახატვის მეთოდით ჩატარებულ ექსპერიმენ-

---------------------------

ტების მონაცემები სწორედ იმას ამტკიცებენ რომ აქ ყოველი ზედმომქმედი სიტუაცია როდი იწვევს უმალ სუბიექტის მოდიფიკაციას.

აქ ამას ჯერ კიდევ ბევრი რამ უშლის ხელს და საჭიროა ალბად ერთ, რომ ზედმომქმედ სიტუაციის მიერ გამოწვეული შედეგი მოსრჯლებულს განწყობის ჩამოყალიბებაში გამოიხატოს.

განწყობას ამ მისი გაფორმების ლატენტურ საფეხურზე ახასიათებს ე.წ. შინაგანი შენაცვლებები.

ეს იმაში გამოიხატება, რომ მისი მთლიანი გაფორმების საფუძვლის როლში პირველად სრულიად სხვაგვარი ფაქტორი გამოდის და შემდეგ - სხვა. სჩანს განწყობის გაფორმების ეს ლატენტური პერიოდი თავიდანვე ერთი პრინციპის ქვეშ არ მიმდინარეობს.

მას თავისი შინაგანი გზა აქვს გასავლელი და იგი იმაშია, რომ ეს მთლიანობა პირველად შეიძლება ერთს რასმე ემყარებოდეს, შემდეგ კი- სხვას.

ეს შენაცვლება შინაგანი დიფერენცირების გამოხატულებაა. შინაგანი დანაწევრება გზაა რომლის მიმართულებით განწყობის გაფორმება მიმდი-

--------------------

ნარეობს.

თუ პირველადვე არ ჩაისახა ეს ტენდენცია, მაშინ განწყობის გამარჯულობაც არ მოჰყვება თან.

განწყობა უმალ წარმოიშვის და იგი რაიმე ცვლილებებს აღარ განიცდის, თუ მის წამოწყებისთანავე არ იჩინა თავი იმ ტენდენციამ, რომელსაც ეს შენაცვლების აუცილებლობა იმთავითვე ახასიათებს.

ასეთია ზოგად შტრიხებში ის ძირითადი თვისებები, რომლებიც განწყობის გაფორმების პროცესს უნდა ახასიათებდეს განვითარების ქვედა საფეხურებზე.

ცალკე შესწავლა ამ პროცესებისა ამ თვალსაზრისით, ალბათ კიდევ უფრო სწორ წარმოდგენას შეგვიმუშავებდა მის შესახებ.

აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ესეც საკმაოა იმისათვის, რათა ჩვენს მიერ დასაწყისში დასმულ საკითხს კვლავ შევეხოთ.

თავში აღნიშნული იყო, რომ მეხსიერების შესწავლა განსაკუთრებით უნდა ხდებოდეს მისი გენეზისის იმ ვითარებაში, რომელსაც ჩვენის გამოთქმით, კომპლექსური ვითარება შეიძლება ეწოდოს.

------------------

აღნიშნული იყო, რომ მეხსიერების განვითარება-ში ორ საფეხურს განასხვავებენ: ერთს მექანიკური მეხსიერების სახელწოდებით იცნობენ, მეორეს კი - ლოგიკური მეხსიერების სახელწოდებით.

რომ კონცენტრული განვითარების გარკვეულ საფეხურზე უნდა მოიპოვებოდეს შემთხვევები, რომ-ლებშიდაც ამ ორი მეხსიერებით რეაქციების და-პირისპირება თავისებურ კოლიზიებში ვლინდებოდეს.

რომ ამ კოლიზიების გათვალისწინება მეხსიერების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობის უნდა იყოს.

ყველა ზემოთქმულის თანახმად ჩვენ ეხლა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეს წორედ ასე და მეხსიერების ე.წ. პარადოქსალური გამოვლინება სწორედ მას გამოგ-ვიხატავს.

ის რასაც ლოგიკური მეხსიერებისა და მექანიკური მეხსიერების დაპირისპირებად ითვლება, წარმოადგენს განწყობათა სახეობის დაპირისპირებას.

შინაგანად დაუნაწევრებელი განწყობების დაშ-ლა ე.წ. მექანიკური მეხსიერების კანონებს ააშკარა-ვებს.

--------------------

რაც უფრო დანაწევრებულია განწყობა, მით უფრო ნელის ტემპით მიმდინარეობს მისი დაშლა.

ამიტომ ცნობილი კანონზომიერებანი ამ განსხვავებულ მეხსიერებითი რეაქციების მიმდინარეობაში სრულიად გასაგებია.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ განწყობის შინაგანი დიფერენციაცია განვითარების განსაზღვრულ გზას გაივლის. ამ გზაზე განსაკუთრებით დამახასიათებელ მის გამოვლინებათ უნდა ჩაითვალოს ის გამოვლინებები, რომლებიც ჩვენ მოუმთავრებელ განწყობილების სახელით აღვნიშნეთ.

დასკვნა.

ამ რიგად ფაქტებისა და იმ მოსაზრების განხილვას, რომლებიც ე.წ. პარადოქსალური მეხსიერების შესახებაა ცნობილი, შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

მნემურ პროცესების შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. პარადოქსალური მეხსიერების გამოვლინებების შესწავლას.

ე.წ. პარადოქსალურ გამოვლინებათ უნდა ჩაითვალოს მეხსიერების ნამდვილი მონაცემები.

--------------------

მეხსიერების განვითარების შესწავლა დაბალ ასაკებში ამ ნამატის არსებობას ადასტურებს.

ის რაც მეხსიერების ნამატის სახელწოდებით აღინიშნება და მეხსიერების პარადოქსალურ გამოვლინებად ითვლება, მეხსიერების ფუნქციას არ უნდა მივაწეროთ.

ის, რაც მეხსიერების ნამატის სახით აღინიშნება, განწყობის გაფორმების თავისებურებით აიხსნება.

განწყობის ფორმირების პროცესში ორი საფეხური დასტურდება: მომთავრებული განწყობის წარმოშვების საფეხური და მოუმთავრებელი განწყობის წარმოშვების საფეხური.

მოუმთავრებელი განწყობის ხანა ბავშვობის ხანაა და მეხსიერების ნამატის დემონსტრაცია განწყობის გაფორმების დროში გაშლილი პროცესით აიხსნება.

ბავშვობაში განწყობის ფორმირებას დროში გაშლა ახასიათებს და მყის თანადობა მისი მომწიფების მაჩვენებელია.

განწყობათა ფორმირების დროში გაშლა მათი შინაგანი დანაწევრებულობის ფუნქციას წარმოადგენს.

------------------------

ძირითადი ლიტერატურის დასახელება.

მეხსიერების განვითარების მნიშვნელობის შესახებ

ლენინი - თხზულებანი, ტ. XXX /რუსული/

გვ. 405, 407.

მეხსიერების ექსპერიმენტული შესწავლის პირველი საფეხურების შესახებ.

1. Эббингауз - Очерк психологии

2. -"- Über das Gedächtnis 1885

3. Рубинштейн - Основы психологии.

მეხსიერების შესახებ საერთოდ.

1. Блонский - Память и мышление

2. А. Леонтьев - Развитие памяти

3. Бергсон - Материя и память

4. Foucault - Sur la fixation des images.

5. Нечаев - Память человека и ее воспитание

---

6. Нейман - Экономия и Техника памяти

7. Е ф ф и ф Jelengy - Лекции, т.1, стр. 622

8. Рибо - Память в ее нормальном и болезненном состоянии

9. P. Janet - L'evolution de la memoire et de la notion du temps

10. Dugas - Le memoire et l'oublie

11. Лурия - Этюды по истории поведения.

12. Aal - Ein neues Gedächtnisgesetz? Exp. Unter. über die Bedeut. der Reproduktionsperspektive. Z. Ps. Bd. 66. H. 1-2.

განწყობის შესახებ.

1. პროფ. დ. უზნაძე-ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, I ტ. 1934წ.

2. მისივე - განწყობის ფსიქოლოგიისათვის /?/

3. " აღქმა და წარმოდგენა ენიმ. მოამ. 1926.

4. " Об основном законе смены установки. Психология 1930.

5. Д. Узнадзе - Gewichtstäusch. und ihre Analoga Psych. Forsch. 1931.

--------

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

მეხსიერების პირველი ტომის შესახებ


1. საკვლევი საკითხის შესახებ.......... 2
2. მეთოდის შესახებ......................11
3. ცდების შედეგები......................24
4. მოსაზრებანი მეხსიერების ე.წ. პასიურ-
   სულ გამოვლინების შესახებ............95
5. მეხსიერების პირველ ფაზაში დადასტურე-
   ბულ ფაქტების ახსნა...................100
6. დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი.....................149
7. ძირითადი ლიტერატურის დასახელება....151


წიგნს დართული აქვს-17 დიაგრამა.